ყოველდღიური გაზეთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—88—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—31.

სამშაბათი, 5 იანვარი 1932 წ. № 5 (3259)

თბილისის რაიონულ პარტკონფერენციებისათვის

ქვედა პარტორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის წარმატებით დამთავრების შემდეგ თბილისის პარტორგანიზაცია უდგება რაიონულ პარტიული კონფერენციების ჩატარებას. პარტიული კონფერენციების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს თბილისის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების ამოცანა. თბილისის მრეწველობამ ხუთწლედის მესამე წელში ჰქონდა მნიშვნელოვანი მიღწევები. მთელმა რიგმა საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი გეგმები. მაგ.: სამკერვალო და ფეხსაცმელების მრეწველობამ ხუთწლიანი გეგმა 2 წელსა და 11 თვეში შეასრულა. სამკერვალო მრეწველობას უნდა გამოეშვა ხუთწლედის დასასრულს 33 ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია, ნამდვილად 1931 წლის დეკემბრისათვის მის მიერ გამოშვებული იყო 38 მილიონი მანეთის პროდუქცია. ფეხსაცმელების მრეწველობას ხუთწლედის დასასრულს უნდა გამოეშვა 4.158 ათასი მანეთის პროდუქცია, 1931 წლის დეკემბრისათვის მან გამოუშვა 4.367 მანეთის პროდუქცია. თბილისის სარემონტო ქარხანამ ორთქლმავალების რემონტის 1931 წლის გეგმა შეასრულა 100,7 პროცენტით (264 ორთქლმავალის ნაცვლად შეკეთდა 286 ორთქლმავალი), სამგზავრო ვაგონების შეკეთების გეგმა 108,3 პროცენტით შესრულებული, ხოლო სამგზავრო ვაგონების შეკეთების გეგმა 102,6 პროცენტით. თბილისის მაუდის ფაბრიკამ, რომელიც სისტემატიურად ჩამორჩებოდა, 1931 წლის ბოლო თვეებში თავის მუშაობაში გარდატეხა მოახდინა და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 7.250.450 მანეთის პროდუქციისა გამოუშვა 7.461.228 მანეთის პროდუქცია.

მიუხედავათ ამისა თბილისის მრეწველობას, ისე, როგორც საქართველოს მთელ მრეწველობას მთლიანად არ შეუსრულებია მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმები. ამის მთავარი მიზეზია ძველი პარტიული ხელმძღვანელობის ოპორტუნისტული დამოკიდებულება თბილისის მრეწველობის მუშაობისადმი და მთელ რიგ საწარმოთა სუსტი ბრძოლა ამხ. სტალინის 6 მითითების რეალიზაციისათვის.

პარტიულმა კონფერენციებმა უნდა დასახონ საჭირო ღონისძიებანი, თბილისის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესასრულებლად. ამისათვის აუცილებელია თბილისის ყველა საწარმოებში ბელადის მითითების უკლებლივ გატარება, პარტიულ - მასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა საამქროებსა და ბრიგადებში, სამეურნეო ანგარიშის მტკიცედ გატარება და ხარისხისათვის ბრძოლის გაძლიერება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ამოცანები, რომლებიც სდგას თბილისის მოწინავე, ლენინის რაიონის წინაშე. ლენინის რაიონის ბოლშევიკებმა მთელი თავიანთი ყურადღება უმთავრესად უნდა მიაპყრონ ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას. თბილისის მთავარი სახელოსნოების და დეპოს მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ამიერ - კავკასიის რკინის გზებისათვის. ამიტომ, კერძოთ სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის მიერ გადამწყვეტი წლის უკანასკნელ კვარტალში მიღწეული წარმატებები უნდა განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ მიმდინარე წელს.

თბილისის პარტიულმა კონფერენციებმა უნდა დასახონ რეალური ღონისძიებანი კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. გასაკეთებელი ამ მხრივ თბილისში ძალზე დიდია, რადგან თბილისი თავის მეურნეობით მნიშვნელოვნათ ჩამორჩება საბჭოთა კავშირის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებს. ბრძოლა სამრეწველო - საფინანსო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის უშუალოდ დაკავშირებულია საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებასთან. საბინაო მშენებლობა, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნა, ქალაქისათვის წყლის მიწოდების გაუმჯობესება და სხვა ნიშნავს მუშათა კლასის კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობებზე ზრუნვას. ამიტომ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის დადგენილების, საკ. კ. პ. (ბ) 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების და ამხ. სტალინის მითითებების საფუძველზე უახლოეს დროში უნდა მოვახდინოთ თბილისის საქალაქო მეურნეობის არსებითი გარდაქმნა.

თბილისის პარტიულმა კონფერენციებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება კონტრ - რევოლუციონური ტროცკისტული კონტრაბანდის, დამპალი ლიბერალიზმის და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ. ამხ. სტალინის წერილის „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ" დამუშავება თბილისში დღემდე სუსტად მიმდინარეობს. არა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს ამხ. სტალინის წერილის საფუძველზე კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმისა და დამპალი ლიბერალიზმის მატარებელთა კონკრეტული ფაქტების გამომჟღავნება. ტროცკისტულ კონტრაბანდისტის ს. ჩიხლაძის მუშაობა საბჭოთა სამართლისა და აღმშენებლობის ინსტიტუტში გამაფრთხილებელი ნიშანია. სლუცკები, ვოლოსევიჩები და ჩიხლაძეები ნიღაბ აფარებულნი ებრძვიან ლენინიზმს და ბურჟუაზიის სამსახურში მყოფ ტროცკიზმის იდეების გაპარებას ცდილობენ. კონტრ - რევოლუციონური ტროცკიზმის აგენტებს ნიღაბი უნდა ჩამოვაგლიჯოთ, ისინი პარტიის რიგებიდან უნდა გავაძევოთ, რადგან „არ შეიძლება დისკუსიის დაშვება ტროცკისტულ კონტრაბანდისტებთან" (სტალინი). თბილისის ყველა საწარმოებში და განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ ამხ. სტალინის წერილის დამუშავება. უნდა გადაისინჯოს ყველა უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ - პოლიტიკური დისციპლინების ხელმძღვანელთა შემადგენლობა, სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული განათლების საკითხებს და მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლებას.

თბილისის ბოლშევიკები ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენენ. თბილისის პარტორგანიზაციამ არა ერთხელ დაამტკიცა თავისი ერთგულება პარტიის გენერალური ხაზისადმი. ნაციონალ - უკლონისტების, კონტრ - რევოლუციონური ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე - „მომემარცხენო" ბლოკის და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ თბილისის პარტორგანიზაცია მედგრად იბრძოდა. თბილისის პარტორგანიზაცია ბაქოს და მთელი ამ.-კავკასიის ბოლშევიკებთან ერთად მომავალშიაც აწარმოებს პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას. თბილისის პარტორგანიზაცია იბრძვის და იბრძოლებს საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების განხორციელებისათვის, საბოლოოდ ამოსწყვეტს თავის რიგებში „ატამანშჩინა"-ს ელემენტებს და ამ მხრივაც საქართველოს მთელ პარტორგანიზაციისათვის, როგორც ყოველთვის, მისაბაძი იქნება.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი თბილისის რაიონულ პარტკონფერენციებს.

„ზაკსოიუზ"-ის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 3 იანვარი. ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციის საკითხზე „ცენტროსოიუზ"-ში გაიმართა სპეციალური თათბირი. რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა „ზაკსოიუზ"-ის თავმჯდომარე ამხ. ბუკრეევი. ამ მოხსენების გამო „ცენტროსოიუზ"-მა, რომელიც საჭიროდ სცნობს სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირების სამეურნეო მოქმედების ყოველმხრივ განმტკიცებას, დაადგინა—დატოვოს „ზაკსოიუზ"-ს ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის მხოლოდ საორგანიზაციო-საგეგმო ხელმძღვანელობის და კონტროლის ფუნქციები. „ზაკსოიუზ"-ს აგრეთვე ევალება გაუწიოს კონტროლი სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების ფინანსიურ მოქმედებას და კაპიტალურ მშენებლობას. „ზაკსოიუზ"-ის ყველა დარგობრივი გაერთიანებანი და სექციები უქმდება. ამიერ-კავკასიის მუშათა მომარაგების გასაუმჯობესებლად, „ცენტროსოიუზ"-მა იკისრა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფონდების დაგეგმვა, ბაქოს გამოკლებით. რომელიც მომარაგებული იქნება უშუალოდ „ცენტროსოიუზ"-ის მიერ.

ცალკე რესპუბლიკათა მომარაგება დაევალა რესპუბლიკანურ სამომხმარებლო კავშირებს. რესპუბლიკანური დარგობრივი გაერთიანებათა მიერ წარმოებულ დამზადებებს ოპერატიულ ხელმძღვანელობას გაუწევენ უშუალოდ „ცენტროსოიუზ"-ის სათანადო გაერთიანებანი. ურთიერთი დამოკიდებულების ასეთი სისტემა წესდება საზოგადოებრივი კვების და საგარეუბნო მეურნეობათა პურის ცხობის სექციებშიც. „ცენტროსოიუზ"-ის დადგენილება პურის ცხობის შესახებ გამოწვეულია იმის საჭიროებით, რომ გამოიყოს ნაციონალურ კავშირებთან პატარა სექტორები, რომლებიც ჩაატარებენ მოსამზადებელ მუშაობას მექანიზებული პურის ცხობის გაშლისა და განმტკიცებისათვის რაიონებსა და სოფლებში.

ამჟამად პურის ცხობის უმთავრესი მუშაობა სწარმოებს დიდი ქალაქების ტერიტორიაზე. რაიონებში კი მექანიზებული პურის ცხობა სრულიად არ არის გაშლილი და იგი მხოლოდ ეხლა ეწყობა.

იმის გამო, რომ ამიერ-კავკასიის სატყეო მრეწველობა უმთავრესად თავმოყრილია საქართველოსა და აფხაზეთში, „ცენტროსოიუზ"-მა, ხე-ტყის მუშათა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დაადგინა— გარდაქმნას საქართველოს კავშირთან არსებული სატყეო კოოპერაციის ავტონომიური სექცია საქართველოსა და აფხაზეთისათვის სამსახურის გასაწევად ა(დს).

იაპონელები შევიდნენ ძინჩოუში

ტოკიო, 3 იანვარი. დენპო ცუსინის სააგენტო მუკდენიდან იტყობინება, რომ დღეს, დილის 6 საათზე ძინ-ჯოუ-ში შევიდნენ ტამონის ბრიგადის ორი ჯავშნიანი მატარებელი და ცხენოსანი რაზმი. (ადს).

პარიზი, 3 იანვარი. საფრანგეთის პრესა იწონებს იაპონელების სვლას ძინ-ჯოუში და აშკარად აცხადებს, რომ ეხლა ერთა ლიგის კომისიას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა საბოლოოდ, არაფერი ექნება გასაკეთებელი მანჯურიაში, რადგან საკითხი თავის თავად გადაწყდება".

ბერლინი, 3 იანვარი. გერმანიის პრესა ხაზს უსვამს, რომ ძინჯოუს დაკავებით იაპონიამ მიაღწია თავისი გეგმების სრულ განხორციელებას—დაიპყრო მანჯურია. გაზეთები აღნიშნავენ, რომ იაპონიის მიერ თავისი გეგმების განხორციელება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ერთა ლიგას არ შეუძლია [illegible] კონფლიქტების გადაწყვეტა.

პროვოკატორი კ. ვანეკი „თავს იმართლებს"

მოსკოვი, 3 იანვარი. (საკ. კორ.). ბერლინის გაზეთი „ველტ ამ აბენდ" სწერს:

„ჩეხო-სლოვაკიის მოსკოვის საელჩოს მდივანი ვანეკი, რომელიც შენიშნულ იქნა იაპონიის ელჩზე ხიროტაზე თავდასხმის მოწყობაში, ყოველ ღონეს ხმარობს გააბათილოს ბრალდება. ვანეკი დახმარებას პოულობს არა მარტო ჩეხო-სლოვაკიის ოფიციალური პრესის მხრივ, არამედ გერმანიის გაზეთების მხრითაც, დაწყებული „ფორვერტს"-იდან გათავებული ფაშისტური „ანგრიფ"-ით, რომლებიც სენსაციურ თავდასხმას იყენებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის.

კარლ ვანეკი წარმოადგენს არა მარტო პროვოკატორს, არამედ მსხვილ სპეკულიანტს. მოსკოვში ყოფნის დროს, ის აწარმოებდა უკანონო ვაჭრობას მხატვრული სიძველეებით, ვერცხლით, ხალიჩებით და ფაიფურით. გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, ვანეკი ვაჭრობდა აგრეთვე სამკაულებითაც, რომლებსაც ჰყიდდა ბოჭკებით. ყველა ამ საქონელს ის აგზავნიდა პრაღაში დიპლომატიური ბაგაჟის სახით".

ესპანეთის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 3 იანვარი. (საკ. კორ.). გუშინ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. აბოლინმა მიიღო საზღვარგარეთ მიმავალი ესპანეთის მუშათა დელეგაცია, რომელიც ორი თვეა მოგზაურობს საბჭოთა კავშირში. დელეგაციის თავმჯდომარემ მელითონე გონზალესმა მადლობა გადაუხადა ამხ. აბოლინს და მისი სახით საბჭოთა კავშირის პროფკავშირებს პროლეტარული მასპინძლობისათვის, რამაც საშუალება მისცა დელეგაციას ყოველმხრივ გასცნობოდა სოციალისტურ მშენებლობას. მან სთქვა: „დელეგაცია თავის ვალად სთვლის ესპანეთში დაბრუნებისას უამბოს ესპანეთის მუშებს სიმართლე იმის შესახებ, თუ როგორ აშენებს სოციალიზმს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, გამოამჟღავნოს ის სიცრუე, რომელშიაც ბურჟუაზიული პრესა ხვევს ყველა ცნობებს საბჭოთა კავშირის შესახებ".

მეორე დელეგატმა მემადნეომ, სოციალისტმა ანტონიო ხეთანემ განაცხადა: „თქვენმა წარმატებებმა ხუთწლედის განხორციელებაში, ზრუნვამ მუშათა მასების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, სოციალიზმის მშენებელ მუშათა კლასის ენტუზიაზმმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს. ჩემს თავს მუშათა კლასის მტრად ჩავთვლი, რომ გავჩუმდე და არაფერი ვსთქვა თქვენს წარმატებებზე. ვეცდები სისწორით გადავცე ჩემი შთაბეჭდილებები ესპანეთის მუშათა კლასის ფართო მასებს".

ნადირობენ დემონსტრანტებზე

ამსტერდამი, 2 იანვარი. ქალაქის ყველა ნაწილებში შრომის ბირჟების გარშემო დაყენებულია პოლიციის გაძლიერებული პოსტები ცხენოსანმა პოლიციამ და საავტომობილო ბრიგადებმა მოაწყვეს ნადირობა სადემონსტრაციოთ გამოსულ უმუშევართა ჯგუფებზე. ქალაქის დასავლეთ ნაწილში და ცენტრში უმუშევრებს რამდენჯერმე მოუხდათ შეტაკება პოლიციელებთან, რომლებმაც მათ თოფი დაუშინეს. მუშები თავს იცავდენ ქვებით, რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა (ადს).

მუშათა დემონსტრაციები დანიაში

სტოკჰოლმი, 2 იანვარი. კოპენჰაგენში გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მიჰქონდათ შავი კუბო, რომელზედაც ეწერა: „ჩვენ ვიხოცებით შიმშილით, მოგვეცით სამუშაო". პოლიციამ კონფისკაცია უყო კუბოს, დემონსტრანტებმა ალყა შემოარტყეს მთავრობის შენობას, მაგრამ პოლიციამ უკან დაახევინა მათ. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე მუშა და პოლიციელი, დააპატიმრეს მრავალი უმუშევარი (ადს).

მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა უნდა გარდაიქმნას

მოსკოვი, 2 იანვარი. საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შვერნიკმა მიიღო გორლოვის მაღაროელის ამხ. არტიუხოვის ბრიგადა, ამხ. არტიუხოვმა და ბრიგადის წევრებმა გააცნეს ამხ. შვერნიკს გორლოველთა მუშაობა, რომელიც ეხება 1931 წლის მეოთხე კვარტალის კულტურულ - საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა სამაღაროო გეგმების შედგენას და რეალიზაციას. მაღაროების უმრავლესობაში გეგმა უკვე წარმატებით ხორციელდება. ამის შედეგად მიღწეულია საგრძნობი გარდატეხა მაღაროების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში. ამხ. შვერნიკმა განაცხადა:

„ვაფასებ კულტურულ-საყოფაცხოვრებო გეგმას, როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს პროფკავშირების მუშაობაში". გორლოველებმა სწორედ დასვეს მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გარდაქმნის საკითხი, რაც არსებითად წარმოადგენს კადრების მომზადებისა და ამხ. სტალინის 6 მითითების რეალიზაციისათვის წარმატებით ბრძოლის საწინდარს. პროფკავშირთა მე-9 ყრილობის მოსამზადებელი მასიური კამპანიისათვის პროფკავშირები შეუდგნენ კულტურულ - საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა გეგმების შედგენას, რაც წარმოადგენს მასიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს რგოლს (ადს).

მზად ვიყოთ კოლმეურნეობებში

საანგარიშო-სადარჩევო კამპანიისა და საწარმოო გეგმების შედგენისათვის

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება.

1. კოლმეურნეობათა გამგეობების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანია და კოლმეურნეობებში 1932 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების და საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამუშაო გეგმების შედგენა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიას. ამ კამპანიის მომზადებამ და ჩატარებამ უნდა დარაზმონ ყველა პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები ცენტრალური და მთავარი ამოცანის — კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ამოცანის განსახორციელებლად, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის ოქტომბრის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, აგრეთვე გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიის გეგმის მთლიანად და თავის დროზე განსახორციელებლად. მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიების და „მომემარცხენო" გადახვევების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლით, საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პერიოდში საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები, რომლებზედაც საკ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიგვითითა.

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი წინადადებას აძლევს რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს და ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრს — საანგარიშო - საგადასარჩევო კამპანიის პერიოდში კოლმეურნე აქტივის რაიონულ თათბირებზე და კოლმეურნეთა ყველა კრებებზე, ინდივიდუალურ მეურნეებთან ერთად, ფართოდ განიხილონ საკ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის 1931 წლის 29 დეკემბრის დადგენილება ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობის და ამოცანების შესახებ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ცალკე ყოველი კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის. კერძოდ, საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი წინადადებას აძლევს რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს, ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრს და რესპუბლიკების კოლმეურნეობათა ცენტრებს გულდასმით შეამოწმონ შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში და დაუყოვნებლივ, ოპერატიული ხელმძღვანელობის წესით, საანგარიშო საგადარჩევო კამპანიის დროს აღმოფხვრან ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში— კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების საკითხში არსებული დამახინჯება.

2. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა და აიკომებმა, ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრმა და რესპუბლიკების კოლმეურნეობათა ცენტრებმა საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პროცესში უზრუნველყონ კოლმეურნეობათა გამგეობების ნამდვილად განმტკიცება, გადაჭრით გააძევონ იქიდან და კოლმეურნეობებიდან კულაკური და უცხო ელემენტები და შექმნან კოლმეურნეობათა მართვა-გამგეობის ორგანოები მოწინავე კოლმეურნე - დამკვრელებისაგან, რომელთაც უნარი შესწევთ თავიანთი მაგალითით ყველაზე უფრო სრულად დარაზმონ კოლმეურნეთა აქტივობა და ინიციატივა კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის თავის დროზე შესასრულებლად (ბამბა, ჩაი, ლაფნის კულტურები, თამბაქო, მარცვლეული კულტურები, ვენახი, სოციალისტური ჯოგის შევსების საკითხები, კოლმეურნეობათა სასაქონლო ფერმების ორგანიზაცია და სხ.), სანარდო სისტემის ნამდვილად განხორციელებისათვის მთელ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, ამხ. სტალინის ექვსი მითითების შესრულებისათვის საბრძოლველად.

3. საკ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი წინადადებას იძლევა — საწარმოო გეგმების, გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამუშაო პროგრამების (გეგმების) და წლიური ანგარიშების შედგენა და საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის ჩატარება კოლმეურნეობებში დაწყებულ იქნას არა უგვიანეს 1932 წლის 15 იანვრისა და დამთავრდეს 20 თებერვლისათვის.

საწარმოო გეგმების და წლიური ანგარიშების შედგენა იმ რაიონების კოლმეურნეობებში, რომლებსაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ სამსახურს, დაეკისროს ა.-კ. ტრაქტორცენტრის სისტემას.

რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და კოლმეურნეობათა ცენტრებმა 15 იანვრამდე მოიწვიონ კოლმეურნეობათა რაიკავშირების წარმომადგენელთა დარგობრივი თათბირები, რაიკომების მდივნებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებთან ერთად, კოლმეურნეობათა საანგარიშო-საგადასარჩევო კამპანიის საკითხებზე ინსტრუქტაჟის გასაწევად.

4. ამ კამპანიის ჩასატარებლად რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და სახკომსაბჭოებმა მობილიზაციის წესით გაიწვიონ: აზერბეიჯანში 150 აგრონომი, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების უფროსი კურსების 300 სტუდენტი და 300 მოანგარიშე მაინც; სომხეთში—50 აგრონომი, 150 სტუდენტი და 120 მოანგარიშე მაინც; საქართველოში—100 აგრონომი, 300 სტუდენტი და 300 მოანგარიშე მაინც.

ა.-კ. მიწსახკომმა და ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარიატებმა და მიწსახკომებმა—10 იანვრისათვის უზრუნველყონ ამ მუშაკების მობილიზაცია. საკ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის კადრების განყოფილებამ თვალყური ადევნოს ამ გადაწყვეტილების თავის დროზე განხორციელებას. რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა კამპანიის ჩასატარებლად არა უგვიანეს 10 იანვრისა მობილიზაციის წესით გაიწვიონ: აზერბეიჯანში 70, სომხეთში 30 და საქართველოში — 60 პასუხისმგებელი მუშაკი. ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრმა და რესპუბლიკების კოლმეურნეობათა ცენტრებმა ჩაატარონ გაწვეულთა საინსტრუქტორო თათბირი.

5. კოლმეურნეობათა რაიონული ყრილობები დამთავრდეს 1 მარტამდე, კოლმეურნეობათა რესპუბლიკანური ყრილობები — არა უგვიანეს 5 მარტისა. რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და კოლმეურნეობათა ცენტრებმა საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის დაწყებამდე გადასინჯონ კოლმეურნეობათა რაიკავშირების ხელმძღვანელი კადრები და განამტკიცონ ისინი მომზადებული პარტიული მუშაკებით.

6. მარტში მოსმენილ იქნას ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრის და საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილების მოხსენება კოლმეურნეობათა გამგეობის საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის შედეგებზე და კოლმეურნეობებში საწარმოო - საფინანსო გეგმების შედგენის შესახებ.

რესპუბლიკანური პარტიული სათათბირო

საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების შესახებ

მოსკოვი, საკ. კ.პ. (ბ) ცკ—ამხ. სტალინს

საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე მოწვეულმა რესპუბლიკანურმა პარტთათბირმა, რომელმაც გუშინ დაამთავრა მუშაობა, მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. სტალინს. მისალმებაში ნათქვამია:

„სრულიად საქართველოს პარტიული თათბირი, რომელიც მოწვეულია საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისა და გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ტის 31 ოქტომბრის დირექტივების საფუძველზე გამოსწორების შესახებ, მოგესალმება შენ და სიტყვას გაძლევს, რომ საქართველოს პარტორგანიზაცია ყოველგვარ ზომებს მიიღებს შენი მითითებების და, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ტის გადაწყვეტილებათა გადაჭრით განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ამხ. სტალინს— პარტიისა და მუშათა კლასის ბელადს!"

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო აღნიშნული, კამათი ამხ. ლ. ბერიას და პ. წულუკიძის მოხსენებათა გამო, დაიწყო 3 იანვარს. საღამოს პირველ სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღო 3 ორატორმა.

ამხ. გასან-საბრი

(ბორჩალო)

ჩვენი რაიონი მებამბეობის რაიონია, ამიტომ აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცება და განვითარებას. რაიონში გლეხური მეურნეობათა კოლექტივიზაცია უდრის 48 პროცენტს; რაოდენობის მხრივ ეს არ არის უმნიშვნელო მიღწევა, მაგრამ საკოლმეურნეო მშენებლობის ხარისხობრივი მაჩვენებელი რაიონში აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

კოლმეურნეობათა უმრავლესობაში სანარდო სისტემა გატარებულია მხოლოდ ფორმალურად, დაბალია მუშაობის ხარისხი, უგეგმოდ სწარმოებს მუშა - ხელის გამოყენება და სხვ.

ვერ იქნა და ვერ მოხერხდა კოლმეურნეობათა რაიკავშირის და ცალკე კოლმეურნეობების აპარატის განმტკიცება. თურქულ ენაზე არ გვაქვს საკოლმეურნეო ლიტერატურა და საკოლმეურნეო აღრიცხვის სათანადო ფორმები, რაც აფერხებს სანარდო სისტემის გატარებას. კოლმეურნეობათა ცენტრი ამ მიმართულებით არ გვიწევს თითქმის არავითარ დახმარებას. საკოლმეურნეო კადრები არ არის და არც არაფერი კეთდება იმისათვის, რომ კადრები მომზადდეს.

ბამბის აკრეფის გეგმებს საერთოდ ვასრულებთ, (გეგმა შესრულებულია 80 პროცენტით) მაგრამ დამახასიათებელია, რომ ზოგიერთ სოფლებში კოლმეურნეობები ბამბის აკრეფაში ჩამორჩნენ კერძო სექტორს. ასე მაგალითად, ბამბის აკრეფის გეგმა შესრულებულია კერძო სექტორში 90 პროცენტით და კოლმეურნეობებში — 63 პროცენტით. ეს არის შრომის ორგანიზაციის სათანადოდ მოუგვარებლობის და საერთოდ კოლმეურნეობათა სამეურნეო, ორგანიზაციული და პოლიტიკური განუმტკიცებლობის შედეგი. იქ, სადაც სანარდო სისტემის გატარება შევძელით ფაქტიურად კოლმეურნეობები ვადამდე და გადაჭარბებით ასრულებენ ბამბის აკრეფის გეგმებს.

საკოლმეურნეო დაგეგმვის საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ კოლმეურნეობათა საწარმოოგეგმები სდგება კაბინეტურად და მის შედგენაში მონაწილეობას ნაკლებად ღებულობს კოლმეურნეთა მასა.

რაიონში არსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგური თავის მოვალეობას არ ასრულებს. ეს სადგური ჯერ კიდევ არ თამაშობს ორგანიზატორის როლს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. სამანქანო სატრ. სადგურს არ ყავს აგრონომების საკმაო კადრი.

საკოლმეურნეო აღრიცხვა თითქმის არც ერთ კოლმეურნეობაში არ არის მოწესრიგებული, რაიონის 67 კოლმეურნეობას ყავს მხოლოდ 13 მოანგარიშე.

დაწყებულია ნაყოფიერი მუშაობა პარტმასიური მუშაობის გარდასაქმნელად. სამანქანო სატ. სადგურში და მთელ რიგ მსხვილ კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებულია პარტუჯრედები. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. გვაკლია პარტაქტივი, რის გამოც დღემდე მდივანი არ ყავს გიაურ-არხის პარტუჯრედს. რაიონი საჭიროებს მომზადებული პარტიული კადრებით დახმარებას.

ამხ. მონიავა

(მარტვილი)

როგორც საკავშირო კომპარტიის ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებაშია აღნიშნული, ჩვენ დავუშვით უხეში პოლიტიკური შეცდომები. შეცდომები გამომდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ძველი ხელმძღვანელობის არასწორი პოლიტიკური ხაზიდან. თითქმის არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით კოლმეურნეობათა სამეურნეო, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცების პრაქტიკულ ამოცანებს.

მარტვილის რაიონისათვის კოლექტივიზაციის საკონტროლო ციფრი მოცემული იყო 50 პროცენტის რაოდენობით. კოლექტივიზაციის საკონტროლო (ციფრების სოფლამდე და კოლმეურნეობამდე დაყვანამ გამოიწვია უკმაყოფილება და გართულებები. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ძველი ხელმძღვანელობის მეოხებით, არარეალური და ძალზე გაბერილი დავალებები მოგვეცა აგრეთვე სოიას თესვის (5.000 ჰექტარზე) სიმინდის დამზადების და სხვა დარგებში.

არის შემთხვევები, როდესაც ფინსახკომის ორგანოების არასწორი და ბიუროკრატიული მიდგომის გამო უკანონო გადასახადს აწერენ კოლმეურნეებს. ზოგჯერ გადასახადის გაწერის დროს მხედველობაში არ იღებენ კოლმეურნეობათა ნამდვილ შესაძლებლობას.

სხვა დაბრკოლებებთან ერთად საკოლმეურნეო აღრიცხვის მოწესრიგებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ საკოლმეურნეო აღრიცხვის ფორმები რთულია და კოლმეურნეთა აქტივისათვის გაუგებარი, სააღრიცხვო ტაბელები ისე რთულია, რომ მას კოლმეურნეთა მოანგარიშეები ვერ ავსებენ.

საჭიროა სათანადო ზომების მიღება იმისათვის, რომ აღრიცხვის ტაბელები და ფორმები ყოველმხრივ გამარტივდეს.

ამხ. კალმახელიძე

(სტალინისი)

საქ. კ. პ. (ბ) ძველმა ხელმძღვანელობამ უარყოფითი დაღი დაასვა საკოლმეურნეო მშენებლობას მთელ რესპუბლიკაში და კერძოდ სტალინისის რაიონშიაც. სტალინისის რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობის ზრდის მხრივ არის სათანადო მიღწევები (1930 წლის 18 პროცენტის ნაცვლად 1931 წლის ბოლო რიცხვებისათვის კოლექტივიზაციამ რაიონში მიაღწია 50 პროც.), მაგრამ ამ ზრდის პროცესში დაშვებულია მთელი რიგი შეცდომები.

საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის და მიწსახკომის დავალებათა თანახმად 1931 წლის შემოდგომისათვის სტალინისის რაიონის კოლმეურნეობებს უნდა დაეთესათ 16.000 ჰექტარი, მაშინ, როდესაც ამ დროისათვის კოლმეურნეობების განკარგულებაში ფაქტიურად იყო 12.000 ჰექტარი, აქედან ნაწილი უნდა დათესილიყო გაზაფხულზე. 16.000 ჰექტარი ფართობის ათვისება ნიშნავდა კოლექტივიზაციის 50 პროცენტამდე აყვანას, ამრიგად კოლექტივიზაციის საკონტროლო ციფრი დაყვანილ იქნა სოფლამდე და კოლმეურნეობამდე.

მეტად უხეშ დამახინჯებებს ქონდა ადგილი სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების პრაქტიკაში. იყო შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობებს დამზადების ანგარიშში ჩამოართვეს სასურსათო და სათესლე პურეული (ქიზიყში).

სანარდო მუშაობა წესიერად რაიონის არც ერთ კოლმეურნეობაში არ არის გატარებული. არ სწარმოებს დახარჯული შრომის აღრიცხვა. მოსავლის განაწილების დროს მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცუდი და [illegible] მუშაკები ერთნაირად ღებულობენ, რაც დამკვრელ კოლმეურნეებს უკარგავს სტიმულს მუშაობისას.

საკოლმეურნეო აღრიცხვა მოუგვარებელია, 98 კოლმეურნეობას ყავს 50 მოანგარიშე, დახარჯული შრომა-დღეების შრომის წიგნაკებში გადატანა მთელი ორი-სამი თვეობით აგვიანებს.

რაიონში არსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგური არავითარ მუშაობას არ აწარმოებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ და სამეურნეო განმტკიცებისათვის. კოლმეურნეთა გარე სამუშაოზე გასვლა უგეგმოდ სწარმოებს.

მეორე სხდომა—4 იანვარი

ამხ. უბირია

(წალენჯიხა)

უდაოა, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები, მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ამ მიღწევების ხარისხობრივი მაჩვენებლები ზოგან ცუდია, ეს აქ ვრცლად აღინიშნა თავის მოხსენებაში ამხ. ბერიამ. მიუხედავათ ამხ. სტალინის და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას კატეგორიული გაფრთხილებისა ჩვენ 1931 წელს კიდევ გავიმეორეთ 1930 წლის გაზაფხულზე დაშვებული მთელი რიგი შეცდომები.

წალენჯიხის რაიონისათვის დამახასიათებელია ის, რომ აქ მიწის საზოგადოებრივი შრომით დამმუშავებელი ამხანაგობების რიცხვი უფრო იზრდება, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო არტელების, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენათ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ძველი ხელმძღვანელობის მეოხებით წალენჯიხის რაიონს 1931 წლისათვის კოლექტივიზაციის საკონტროლო ციფრი მიეცა 80—85 პროცენტის რაოდენობით. ამის გამო ცალკე სოფლებს მიეცათ თესვის არარეალური მტკიცე დავალება.

უხეშმა ადმინისტრატორულობამ და „მემარცხენე" ოპორტუნისტულმა გადახვევებმა ხელი შეუწყო კულაკების, მენშევიკების და ყველა ჯურის ანტი-საბჭოთა ელემენტების აქტივობის გამოცოცხლებას და შეაფერხა კოლმეურნეობათა განმტკიცება. ასეთივე „მომემარცხენო" ხასიათის დამახინჯებები იქნა დაშვებული სას. სამ. პროდუქტების, განსაკუთრებით სიმინდის დამზადების კამპანიაში.

წალენჯიხის რაიონში მტკიცე საფუძველი ეყრება სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებას; ამჟამად სოციალისტური სექტორი-ხაზით განსაზოგადოებულია — 1784 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

რაიონი განიცდის მუშაკთა კადრების (განსაკუთრებით პარტიული კადრების) სიმცირეს. ჩვენთვის საჭირო იყო 6 პასუხისმგებელი მუშაკი, ვითხოვეთ, მაგრამ დღემდე არც ერთი ამხანაგი არ არის გამოგზავნილი. წალენჯიხის რაიონი საჭიროებს ენერგიულ დახმარებას კვალიფიკაციური მუშაკთა კადრებით.

ამხ. თორდია

(ზუგდიდი)

აქ ბევრ ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ნაკლოვანებები კიდევ უფრო მეტი გვაქვს.

კოლმეურნეობათა ცენტრი ვერ გვიწევს სათანადო ხელმძღვანელობას; ამ უკანასკნელის ინსტრუქტორები კოლმეურნეობებს ზერელედ იკვლევენ. ამას წინად ერთ - ერთმა ინსტრუქტორმა „გამოაკვლია" რამოდენიმე კოლმეურნეობა, როცა მას მივმართეთ კითხვით: ამხანაგო, გვითხარი რა ნახე ჩვენს კოლმეურნეობებშიო — ასეთი პასუხი მივიღეთ— „ეს ჩემს საიდუმლოებას შეადგენს"-ო. ცხადია ასეთი ინსტრუქტორებიდან არაფერი გამოვა.

რაიონის 36 კოლმეურნეობიდან 8 კოლმეურნეობა არის სათანადოთ განმტკიცებული ორგანიზაციულად. მოანგარიშეების დიდ ნაკლებობას განვიცდით, 5 კოლმეურნეობაზე ფაქტიურად ერთი მოანგარიშე მოდის. ყოველივე ამის გამო დაგვიანდა მოსავლის თავის დროზე განაწილება, გვიანდება აგრეთვე მოსავლის და შემოსავლის საბოლოოდ განაწილება იმისათვის, რომ სოიას მოსავალი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გა- რაიონი დიდათ დაზარალდა წყალ- ლიწილი და რეალიზაციაქმნილი. დიდობამ, ამისათვის სახდაზღვევის ორგანოებმა კოლმეურნეობებს დროზე უნდა აუნაზღაურონ სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალი. თორემ ამ საქმის გაჭიანურებაც დაგვიანებს ისედაც დაგვიანებულ მოსავლის განაწილებას.

სავალალო მდგომარეობაშია რაიკოლმეურნკავშირის აპარატი, მას არ ყავს ინსტრუქტორი, ბუხჰალტერი, ეკონომისტი და სხვ. საკოლმეურნეო კადრების ადგილობრივად მომზადებისათვის არ გვყავს სათანადო ძალები (ლექტორები).

აქ აღინიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში სამანქანო - სატრაქტორო სადგურები ხვნის მეტს არაფერს აკეთებენო. ეს კიდევ კარგია. ჩვენს რაიონში ეს სადგურები ხვნის გეგმებსაც სანახევროდ ვერ ასრულებენ. დანარჩენ ამოცანებზე, ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ამხ. თორდიას საჭიროდ მიაჩნია ჩაის კოლმეურნეთა სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების დაუყოვნებლივ გაუმჯობესება.

ამხ. შონია

(ხობი)

იმ შეცდომებს გარდა, რომელიც აქ ითქვა — არის მთელი რიგი დამახინჯებანი, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ გამოსწორებას, ხობის რაიონში მოცემული იყო ხვნათესვის არა რეალური გეგმები, მართალია კოლმეურნეებმა დათესვა მოახერხეს, მაგრამ ნათესების დამუშავება ვერ შესძლეს, ამის გამო, გაფუჭდა ნათესები მთელ რიგ სოფლებში. ერთ კოლმეურნეს საშუალოდ შეუძლია დაამუშაოს 3 ნახევარი ჰექტარი სიმინდის ნათესი, 1931 წელს კი თითო კოლმეურნეზე მოდიოდა 7 ჰექტარი ნათესი.

ხობის რაიონში დამზადების პრაქტიკაშიც იყო დამახინჯებები; სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადების მტკიცე დავალებებს აძლევდენ ყველას, ვისაც კარგი სახლი ქონდა. იყო ისეთი ფაქტები, როდესაც გლეხები ბაზარზე ყიდულობდენ სიმინდს და ისე აბარებდენ დამამზადებელ ორგანიზაციებს.

სამანქანო - სატრაქტორო სადგური ჩვენს რაიონში არ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ბერკეტს, არამედ ის ხელს უშლის საკოლმეურნეო მშენებლობას და აძლიერებს კულაკების პროვოკაციას. აღნიშნული სადგურის ადმინისტრაცია მრავალ დაპირებებს აძლევს კოლმეურნეობებს და სინამდვილეში კი ვერ ასრულებს ვერც ერთ დავალებას, ვერც ხვნათესვას და ვერც მოსავლის აკრეფის საქმეში.

ჩვენი რაიონი ახლად გამოყოფილ რაიონთა რიცხვს ეკუთვნის, ამიტომ საჭიროა მეტი დახმარება როგორც ფინანსიურ სახსრებით, ისე მუშაკთა კადრებით.

გაბაშვილი

(ბორჯომი)

ამხ. ბერიამ სავსებით, სწორად მიუთითა ყველა იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ახასიათებს საკოლმეურნეო მშენებლობას ჩვენში. თავის წერილში „თავბრუ დახვევა წარმატებებისაგან" ამხ. სტალინი აღნიშნავდა „ჩვენი კოლმეურნეობრივი პოლიტიკის წარმატება სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ ეს პოლიტიკა ეყრდნობა კოლმეურნეობრივი მოძრაობის ნებაყოფლობას და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების პირობების სხვადასხვაობის ანგარიშის გაწევას". სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას სხვადასხვა რაიონების პირობებისათვის ანგარიშის გაწევას.

მე ამ შემთხვევაში სახეში მაქვს ბორჯომის რაიონი. იბადება კითხვა: ბორჯომის რაიონში წმინდა საკურორტო მშენებლობა უნდა ვაწარმოოთ, თუ კიდევ სხვა რამე. ჩემის აზრით ბორჯომის რაიონი მეცხოველეობის რაიონია და აქ საკურორტო მშენებლობასთან ერთად უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ კურორტთა სამმართველოს ზოგიერთი მუშაკები იმ მოტივით, რომ თურმე „მეცხოველეობის განვითარება დაღუპავს ტყეებს და კურორტს". ამ არა სწორ შეხედულებას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა. ბორჯომის რაიონში ჩვენ უნდა შევქმნათ სამაგალითო საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები

დამახინჯებანი დამზადების დარგში დაშვებული იქნა ბორჯომის რაიონშიც. ისტორიას არ ახსოვს, რომ ბორჯომის რაიონში ოდესმე პური დაემზადებინოთ, გასულ წელს კი აქ დამზადებული იქნა 1.000 ცენტნერი პურეული. ასევე არარეალური გეგმები იყო მოცემული თივის დამზადების დარგში. ახლა ირკვევა, რომ კოლმეურნეებს თივა არა აქვთ და მათი პირუტყვი საფრთხეშია.

საჭიროა ყველა ამ დამახინჯებათა დაუყოვნებლივ აღკვეთა. ბორჯომის რაიონში უნდა განვითარდეს როგორც საკურორტო მშენებლობა, ისე სოციალისტური მეცხოველეობა.

ამხ. ბახტაძე

(ყვარელი)

შეცდომები და „მემარცხენე" ოპორტუნისტული გამრუდებანი საქ. კ. პ. (ბ) ძველი ხელმძღვანელობას საერთოთ ახასიათებდა: ამ შეცდომების მიზეზი იყო ის, რომ არ ვსწავლობდით და ანგარიშს არ უწევდით ცალკე რაიონების შესაძლებლობასა და თავისებურებას.

ყვარელის რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში რომ უხეში პოლიტიკური შეცდომებია დაშვებული, ეს იქიდანაც სჩანს, რომ კოლექტივიზაციის პროცენტი აქ 18 პროცენტიდან შემცირდა 14 პროცენტამდე. 17 კოლმეურნეობიდან 12 კოლმეურნეობაში მოსავალი და შემოსავალი სულადობის მიხედვით განაწილდა.

როგორც გამოირკვა, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მრავლად მოიპოვებიან შეძლებული მეურნეობანი. ჩემის აზრით ორგანიზაციულად განუმტკიცებელ კოლმეურნეობებში ყოველმხრივ უნდა შეიზღუდოს შეძლებულთა მიღება.

ამხ. ს. ბახტაძე

(ხონი)

საქართველოს კომპარტიის ცეკას ძველი ხელმძღვანელების სახით ჩვენ გვქონდა არა ცალკე გადახვევები, არამედ შეცდომების მთელი სისტემა. ეს შეცდომები გაგრძელება იყო იმ შეცდომებისა, რომელიც დაშვებული იყო 1930 წლის გაზაფხულზე.

გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ორგანიზაციების ხაზით ჯერ კიდევ არ არის სასწრაფო (და გადამჭრელი ზომები მიღებული დაშვებული შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად. კიდევ მეტი: აქა-იქ ახლაც არის დაშვებული შეცდომების მსგავსი გამრუდებათა განმეორების ნიშნები.

ხონი მომხმარებელი რაიონია; რაიონს ყოველ წლიურად შემოაქვს 200.000 ფ. პურეული. ჩვენ გავაფართოვეთ ტექნიკური კულტურის ნათესები, ეს მოაკლდა სიმინდის ფართობს, ამნაირად გაიზარდა პურეულის დეფიციტი, ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

სოიას დამზადების პირობების თანახმად ერთ ცენტნერ სოიაზე კოლმეურნეებმა უნდა მიიღონ ორი ფუთი ხორბალი, მაგრამ ეს პირობა დღემდე არ სრულდება.

სოიას დამამზადებელ ორგანიზაციებთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც დამზადებული სოია მიმღებ პუნქტებს უნდა ჩაბარდეს სამტრედიაში. ეს პირობა უნდა შეიცვალოს, თორემ ის ხელს შეუშლის საგაზაფხულო კამპანიის სამუშაოთა შესრულებას, მუშა - საქონლის დიდი ნაწილის სოიას გადაზიდვაზე დაბანდების გამო.

ხონის რაიონის კოლმეურნეობების გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოკალათებულნი არიან ყოფილი ვაჭრები. არის ისეთი კოლმეურნეობა, რომელთა შემადგენლობის 30 პროცენტს ყოფილი ვაჭრები შეადგენენ. გამოირკვა ისიც, რომ 5 კოლმეურნეობაში გამგეობის თავმჯდომარეოდ იყვნენ ყოფილი ვაჭრები.

კოლმეურნეობათა სოციალურ შემადგენლობის ასეთი უვარგისობა უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობების სამეურნეო ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებაზე.

ღარიბი და საშუალო გლეხთა ფართო მასების დენა კოლმეურნეობებისაკენ სუსტია. მთელი 1931 წლის შემოდგომის პერიოდში კოლმეურნეობებს შემატა მხოლოდ 30 წევრი.



გარე-კახელი კოლმეურნეები დასვენების დროს გაზეთს კითხულობენ

საქართველოს [illegible]

პარტიული მშენებლობა

ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის კონტრაბანდისტებს, დამპალი ლიბერალიზმის წარმომადგენლებს და ყველა სახის ფალსიფიკატორებს

„ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი უმაღლეს სასწავლებლების პარტუჯრედებმა „ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები აიყვანონ სათანადო სიმაღლეზე, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დააყენონ მეცნიერულ ბოლშევიკურ რელსებზე, გაამახვილონ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის—ტროცკისტულ და ყველა სხვა ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სისტემატიურად ჩამოგლიჯონ მათ ნიღაბი“ (სტალინი)

ამხ. სტალინის წერილის დამუშავების მიმდინარეობის შესახებ.

(საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1932 წლის 3 იანვრის დადგენილება).

საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნო აღნიშნავს მუშაობის აშკარად არადამაკმაყოფილებელ გაშლას ამხ. **სტალინის** წერილის „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“ განსახილველად, ამ წერილის არასაკმაოდ დამუშავებას პარტგანათლების ქსელში და მისი დამუშავების მიმდინარეობის არადამაკმაყოფილებლად გაშუქებას ადგილობრივ პრესაში, ამასთან სამდივნო აღნიშნავს, რომ პარტიის რაიკომებმა და თბილისის ორგანიზაციის უჯრედებმა მთლიანად არ შეასრულეს საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის 1931 წლის 29 ნოემბრის მითითებანი და ამხ. სტალინის წერილის დამუშავების კამპანიის მიმდინარეობის დროს არ უზრუნველყვეს კონკრეტული ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტული იდეოლოგიის და მემარჯვენე უკლონისტური თეორიების ადგილობრივ გამომხატველებთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისციპლინებისა და ბეჭდვით შრომებში მათი კონტრაბანდული გზით შეპარების ცდებთან.

ამხ. სტალინის წერილის ნამდვილად მასიური და ბოლშევიკური დამუშავებისათვის ყველა პირობების შესაქმნელად მთელს ორგანიზაციაში, საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნო ადგენს:

1. თბილისის ორგანიზაციის რაიკომებმა ხუთი დღის ვადაში მოაწყონ ყველა უმაღლეს სასწავლებლებსა, მუშფაკებსა და მსხვილ საწარმოებში პარტუჯრედების კრებებზე ამხ. **სტალინის** წერილის „**ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ**“ განხილვა, რათა თბილისის კონფერენციას პარტორგანიზაცია შეხვდეს გარკვეული შედეგებით.

2. მიღებულ იქნას ცნობად პარტიის ლენრაიკომის და ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის განცხადებანი იმის შესახებ, რომ მათ მიიღეს საჭირო ზომები ამხ. სტალინის წერილის დამუშავების შედეგების განსახილველად ამიერ-კავკ. გზათა ინჟინრების ინსტიტუტში, ენერგეტიულ ინსტიტუტში, საბჭოთა სამართლის ინსტიტუტში, გზათა ტეხნიკუმში და სხვ. საზოგადოებრივ - პოლიტიკურ დისციპლინების ხაზით მთელ რიგ საპროგრამო საკითხების თეორიული დამახინჯების ფაქტების გამოაშკარავებასთან დაკავშირებით (მარგოლინი, ჩიხლაძე, კალანდარიშვილი და სხვ.).

3. 7 იანვარს მოწვეულ იქნას თბილისის პარტიული ორგანიზაციის ფართო აქტივის კრება, რომელზედაც უნდა გაკეთდეს მოხსენება ამხ. სტალინის წერილისა და თბილისის ორგანიზაციაში მისი დამუშავების წინასწარი შედეგების შესახებ.

4. დაევალოს პარტიის რაიკომებს დასახონ მთელი რიგი ღონისძიებანი საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1931 წლის 29 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის.

5. წინადადება მიეცეს კომკავშირის თბილისის კომიტეტს მოიწვიოს უახლოეს დღეებში საქართველოს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას ამხ. **სტალინის** წერილი „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“.

კომკავშირის თბილისის კომიტეტმა შეიმუშაოს კომკავშირის უჯრედების კრებებზე და პოლიტგანათლების ქსელში ამხ. სტალინის წერილის დამუშავების წესი.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფსაბჭოს ფრაქციას შეიმუშაოს პროფაქტივის თათბირებზე, მუშათა საერთო კრებებზე და საინჟინრო- ტეხნიკურ მუშაკთა შორის ამხ. სტალინის წერილის — „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“ დამუშავების ღონისძიებანი და გეგმა.

7. საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ და განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობის ფრაქციამ შეიმუშაონ თბილისის და მისი გარეუბნების განათლების მუშაკთა შორის აღნიშნულ საკითხის დამუშავების წესი.

8. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

7 იანვარს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის შენობაში

შესდგება

თბილისის პარტიული აქტივის ფართო კრება

დღის წესრიგი:

ამხ. სტალინის წერილი „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ და იდეოლოგიური ფრონტი საქართველოში

(მომხსენებელი ამხ. ქ. გორდელაძე)

—შესვლა კომპარტიის (ბ) რაიკომების მიერ გაცემულ სპეციალური ბილეთებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი—მელაძე.

შორს პარტიის რიგებიდან ჩიხლაძის მსგავსი კონტრაბანდისტები

საქ კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის ბიუროს 1932 წ. 4 იანვრის დადგენილება

რაიკომის ბიურო, რომელმაც მოისმინა რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების ინფორმაცია ამხ. **სტალინის** წერილის „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ დამუშავების მიმდინარეობაზე, აღნიშნავს, რომ ამხ **სტალინის** წერილის დამუშავება და აქედან გამომდინარე კონკრეტულ ამოცანების გარშემო. პარტიული მასების მობილიზაცია აშკარად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს. დღემდე წერილის დამუშავება ჩატარდა 12 უჯრედში, ამასთან, გარდა საბჭოთა სამართლის ინსტიტუტისა, სადაც გამოაშკარავებულ იქნა ჩიხლაძის კონტრრევოლიუციონური ტროცკისტული გამოსვლა, დამუშავების დროს არ ხდებოდა ტროცკისტული კანტრაბანდის და დამპალი ლიბერალიზმის კონკრეტული ფაქტების მხილება და იგი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ყოველივე ეს მოწმობს არასაკმაო ბოლშევიკურ სიფხიზლეს, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საგამომკვლევო დაწესებულებათა უჯრედებში. ცენტრალურ ბეჭდვითი და კედლის გაზეთებს ჯერ კიდევ არ გაუშლიათ შესაფერისი მუშაობა ტროცკისტული კონტრაბანდის და დამპალი ლიბერალიზმის კონკრეტული ფაქტების გამოსააშკარავებლად და უჯრედებში ამხ. სტალინის წერილის დამუშავების მიმდინარეობის გასაშუქებლად.

რაიკომის ბიურო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა პარტუჯრედებს დაამუშაონ 5 იანვარს ერთიან პარტიულ დღეს ამხ. სტალინის წერილი და დამუშავება დაუკავშირონ ტროცკისტული კონტრაბანდის და დამპალი ლიბერალიზმის კონკრეტული გამომხატველების გამოაშკარავებას.

2. წინადადება მიეცეს უჯრედებს სისტემატიურად გააშუქონ ძირეულ და ცენტრალურ გაზეთებში ამხ. სტალინის წერილის დამუშავების მიმდინარეობა.

3. საქართველოს ცაკთან არსებულ საბჭოთა სამართლის ინსტიტუტში ტროცკისტული კონტრაბანდის ფაქტების გამოაშკარავებასთან დაკავშირებით (ჩიხლაძის საქმე) და იმის გამო, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამა და სასწავლო-მეთოდიური მასალა არ არის იდეოლოგიურად მისაღები, — საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის წინაშე დაისვას საკითხი საზოგადოებრივ - პოლიტიკურ დისციპლინების ხაზით ყველა პროგრამებისა, მეთოდიური მასალისა და ლექტორ-პედაგოგთა პერსონალის გადასინჯვის შესახებ.

4. წინადადება მიეცეს უჯრედებს უზრუნველჰყონ რაიკომისათვის ინფორმაციის თავის დროზე მიწოდება ამხ. სტალინის წერილის დამუშავების მიმდინარეობის შესახებ.

ჩიხლაძე გამორიცხულია პარტიიდან

პარტიის ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ბიუროს დადგენილებით, ჩიხლაძე გამორიცხულია პარტიიდან პოლიტიკური ეკონომიის სწავლებაში ტროცკისტული კონტრაბანდის შეპარებისათვის.

ტროცკისტული კონტრაბანდისტი ს. ჩიხლაძე გამორიცხულია პარტიიდან

საქ. საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტში პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის სიმონ ჩიხლაძის მხრივ ადგილი ჰქონდა ტროცკისტული კონტრაბანდის გაპარებას პოლიტ. ეკონ. სწავლების საქმეში. ჩიხლაძემ მექანიკურად გადმოიწერა ყოფ. სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის შედგენილი პოლიტეკონომიის პროგრამა, რომელიც შეიცავდა თეორიული ეკონომიის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხების განხილვას მემარჯვენე ოპორტუნისტულ და ტროცკისტულ დებულებათა თვალსაზრისით. პროგრამაში საბჭოთა მეურნეობა განხილულია, როგორც სასაქონლო მეურნეობა, აღიარებულია კრიზისების შესაძლებლობა საბჭოთა ეკონომიკაში და სხვ. პროგრამაში არ ყოფილა მოცემული რუბინის მენშევიკურ იდეალისტურ შეხედულებათა, მექანისტების, პრეობრაჟენსკის ტროცკისტულ ეკონომიურ თეორიის და ბუხარინის ოპორტუნისტულ დებულებათა მარქსისტულ - ლენინური კრიტიკა.

ამ უხეში შეცდომების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოლიტეკონომიის პროგრამაში, ს. ჩიხლაძეს მიეთითა ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე მეცნიერ-მუშაკთა სექციის და სტუდენტთა გაერთიანებული კრების მიერ. საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას ბრიგადამ, რომელიც გასულ წელს ამოწმებდა უმაღლეს სასწავლებელთა პროგრამებს, საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის პოლიტეკონომიის პროგრამა შეაფასა, როგორც „კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის ნიაზე შედგენილი პროგრამა“. ეს წერილი იყო მოთავსებული „ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 139 №-ში. ბრიგადა მოითხოვდა პოლიტეკონომიის ამ პროგრამის არსებითად შესწორებას.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, ჩიხლაძემ მაინც დუმილი ამჯობინა: „ზარია ვოსტოკა“-ში მოთავსებულ წერილის შესახებ ჩიხლაძემ განაცხადა, რომ ეს წერილი არ შეიცავს პროგრამის სწორ ანალიზს და მის შესახებ თითქოს მან საკითხი დააყენა საქ. ც.ს. კომისიაში. როგორც შემდეგში გამოირკვა, ჩიხლაძეს საკონტროლო კომისიაში არავითარი განცხადება არ შეუტანია და ცდილობდა ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციის შეცდომაში შეყვანას.

სიმონ ჩიხლაძე, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში იმყოფებოდა კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის რიგებში, რის გამოც იგი ორჯერ იყო გარიცხული პარტიის რიგებიდან—კვლავ შეეცადა კონტრრევოლუციონური ტროცკისტული კონტრაბანდა გაეპარებია ინსტიტუტის სასწავლო მუშაობაში. ეკონომიური კათედრის წევრმა ამხ. ნ. სოხელიამ, რომელმაც იცოდა აღნიშნულ პროგრამაში დაშვებული შეცდომების შესახებ—ვერ გამოიჩინა ბოლშევიკური გამბედაობა და ვერ გაილაშქრა ანტილენინურ პრინციპების მიხედვით შედგენილ პროგრამის წინააღმდეგ. სოხელიას ასეთი მოქმედება შეფასებულ უნდა იქნას, როგორც შემარიგებლობა ჩიხლაძის ტროცკისტულ საქმიანობისადმი.

ჩიხლაძემ პარტიული ორგანიზაციების თვალის ასახვევად რამოდენიმე ხნის შემდეგ კათედრის სხდომაზე წარმოადგინა მის მიერ თითქოს შესწორებული „პროგრამა“. ნამდვილად კი, როგორც გამოირკვა, მას ძველ პროგრამაში თითქმის არავითარი არსებითი შესწორება არ შეუტანია.

ამხ. სტალინის წერილის „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხების შესახებ“ საფუძველზე საბჭოთა სამართლის და აღმშენებლობის ინსტიტუტის კომუჯრედმა გაამახვილა ყურადღება ანტილენინურ თეორიების წინააღმდეგ. ინსტიტუტის კომუჯრედის საანგარიშო კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა სასტიკად გააკრიტიკეს პოლიტეკონომიის პროგრამა და ამხილეს ჩიხლაძის ორპირობა. ჩიხლაძემ მოინდომა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებისათვის გვერდის ავლა და არაფერი სთქვა თავის შეცდომებზე. მეორე დღეს ჩიხლაძემ განცხადება შეიტანა კომუჯრედის ბიუროში, ნაწილობრივ აღიარა თავისი შეცდომები და სრულებით არ შეეხო კონტრ - რევოლიუციონურ ტროცკისტულ აზრებს, რომლებიც ჩიხლაძის მიერ „შესწორებულ“ პროგრამაში უცვლელად იყო დატოვებული. მიუხედავად ბიუროს წინადადებისა ჩიხლაძე არ გამოვიდა საკუთარი შეცდომების აღიარებით პედაგოგიური პერსონალის და სტუდენტთა საერთო კრებაზე, სადაც ამხ. სტალინის წერილის დამუშავება სწარმოებდა. ამგვარად ჩიხლაძემ დაამტკიცა, რომ ის იცავს კონტრრევოლიუციონურ ტროცკისტულ აზრებს და ცდილობს ტროცკისტული კონტრაბანდის გაპარებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

საბჭოთა სამართლის და აღმშენებლობის ინსტიტუტის კომუჯრედის ბიურომ **გამორიცხა პარტიის რიგებიდან ტროცკისტული კონტრაბანდისტი ს. ჩიხლაძე.** ამხ. **სოხელიას** კი რომელმაც ვერ გამოიჩინა სათანადო ბოლშევიკური სიფხიზლე და დროზე ვერ გაშალა საჭირო ბრძოლა ჩიხლაძის ტროცკისტულ ცდებთან, გამოეცხადა საყვედური.

საქ. საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის კომუჯრედის ბიუროს ეს დადგენილება გუშინ დაამტკიცა ამხ. ორჯონიკიძის სახ რაიკომის ბიურომ, ტროცკისტული კონტრაბანდისტი ჩიხლაძე გაძევებულ იქნა პარტიიდან.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ბ. **კვირკველია** არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს ინსტიტუტში კათედრების მუშაობას. აღმაშფოთებელია დამპალი ლიბერალიზმი, რომელიც მან ჩიხლაძის საქმისადმი გამოიჩინა.

მარქსისტული-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის

ამხ. სტალინის წერილის და ამხ. კაგანოვიჩის სიტყვის დამუშავება მხარის ყველა პარტორგანიზაციებში

არხანგელსკი, 2 იანვ. ამხ. სტალინის წერილის და ამხ. კაგანოვიჩის სიტყვის დამუშავება მხარის ყველა პარტორგანიზაციებში მეტად აქტიურად მიმდინარეობს. ჩრდილოეთის ბოლშევიკები პირობას იძლევიან, რომ გადაჭრით ამხელენ ტროცკისტული კონტრრევოლიუციონური კონტრაბანდის შემოპარების ყოველგვარ ცდებს. და კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლებენ გენერალური ხაზისა და ლენინიზმისათვის. ჩრდილოეთის სამხარეო კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლის პარტკოლექტივმა მოიწონა საკ. კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად პარტიიდან გამორიცხულ იქნა ტროცკისტი, კომუნისტური უნივერსიტეტის მასწავლებელი ვტორჩეგი. (ადს).

პრესის ლენინური მეცნიერების ფალსიფიკატორის რომანოვის გამორიცხვა პარტიიდან

ხარკოვი, 1 იანვარი. უკრაინის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა რომანოვმა ანტიბოლშევიკურ წიგნში „**პრესის მუშაობის ფორმები და მეთოდები რეკონსტრუქციის პერიოდში**“ თავი გამოააშკარავა პრესის ლენინური მეცნიერების ფალსიფიკატორად და ტროცკისტულ კონტრაბანდისტად გაზეთმცოდნეობის ფრონტზე. ინსტიტუტის პარტორგანიზაციამ დაადგინა **გამოირიცხოს რომანოვი პარტიის რიგებიდან** (ადს).

ბაქოს პარტორგანიზაციის ლენინის რაიონის პარტკონფერენციის მისალმებები

მოსკოვი, ამხ. სტალინს

„ლენინის რაიონის მე-12 პარტკონფერენცია მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიგზავნის შენ, ლენინის ერთგულ მოწაფეს, პარტიისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს.

ჩვენ კონფერენციას ვესწრებით ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის 2 ნახევ. წელიწადში შესრულების შემდეგ, რაც პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარების და ყველა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგია. ჩვენი კონფერენცია ტარდება შენი ექვსი ისტორიული მითითების და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ამიერ-კავკ. პარტორგანიზაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ბოლშევიკური შემოწმების ნიშნით.

ჩვენ სიტყვას გაძლევთ შენ, ამხ. სტალინ, რომ შენი მითითებების და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 დეკემბრის გადაწყვეტილების—ამ.-კავკ. პარტორგანიზაციების მოხსენებათა გამო, საფუძველზე ვიბრძოლებთ პარტიული მუშაობის გარდაქმნისათვის, ბოლშევიკური პარტიულობისათვის ჩვენს რიგებში, ჯგუფობრიობისა და „ატამანშჩინის“ ნაშთების წინააღმდეგ. ჩვენ სიტყვას გაძლევთ, რომ პარტიის გენერალური ხაზისათვის ორ ფრონტზე ბრძოლაში მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის და აგრეთვე ტროცკისტული და სხვა კონტრაბანდისტების წინააღმდეგ შევასრულებთ ხუთწლედის მეოთხე, დამამთავრებელი წლის პროგრამას.

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ნაცად ბელადს ამხ. სტალინს!

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი—ამხ. ორახელაშვილს

ლენინის რაიონის მე-12 პარტკონფერენცია შენი სახით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უგზავნის საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტს. ჩვენი პარტკონფერენცია ტარდება პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნის ნიშნით. ჩვენ მოვედით პარტკონფერენციაზე ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის 2 ნახევ. წელიწადში შესრულების შემდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაცია ბოლშევიკურად იბრძოლებს საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, დაშვებულ შეცდომების გამოსწორებისათვის, საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური მთლიანობისათვის, ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის, ამერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერის განმტკიცებისათვის.

პარტკონფერენცია სიტყვას აძლევს საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტს, რომ მისი მტკიცე ხელმძღვანელობით, ორ ფრონტზე ბრძოლაში მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის, ტროცკისტული და სხვა კონტრაბანდისტების და დაჯგუფების მონაწილეთა წინააღმდეგ ჩვენი ორგანიზაცია შემდეგშიაც ბოლშევიკურად იბრძოლებს ამხ. სტალინის ექვსი პირობის და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მე-14 პარტკონფერენცია

რომელიც დანიშნული იყო 6 იანვრისათვის,

შესდგება რვა იანვარს,

საღამოს 7 საათზე, ვოროშილოვის სახ. კლუბში (კომინტერნის ქ. 5)

საქ. კ. პ. (ბ) ლენრაიკომი აუწყებს ყველა დელეგატებს, რომ

ლენრაიონის მე-16 რაიპარტკონფერენცია

მოწვეულ იქნება 1932 წლის 5 იანვარს, საღამოს 6 საათზე,

პლეხანოვის სახელობის კლუბში.

ჩაის კულტურის განვითარება საქართველოში

ამხ. ფ. მახარაძის წერილი

I

ჩაის კულტურას, ყველა სხვა დანარჩენ ძვირფას კულტურებში, უთუოდ ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს მთელ ჩვენ მხარეში. ჩაის კულტურის მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკი და მსჯელობა დღეს უკვე ზედმეტია: ეს მნიშვნელობა ყველას ესმის, როგორც ქარხნის მუშას, ისე კოლმეურნეს და ღარიბ და საშუალო გლეხსაც. საბჭოთა მთელი კავშირი, ჩვენ ყველანი ვმაცადინობთ ახლა მხოლოდ იმისათვის, რომ ეს ძვირფასი კულტურის განვითარება ჩვენში რამდენათაც კი შეიძლება დავაჩქაროთ, უზრუნველვყოთ მისი ბოლშევიკური ტემპებით ზრდა - განვითარება ისე, რომ მეორე ხუთწლედში მთელი საბჭოთა კავშირის ძირითადი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ საკუთარი ჩაით. ეს ამოცანა სავსებით რეალურია, მაგრამ მისი განხორციელება დაჩქარებით, განსაზღვრულ ვადაში, მოითხოვს პარტიის და ხელისუფლების ყველა ორგანოების მხრით მართლაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საქმისადმი, განსაკუთრებულ ენერგიას, როგორც „**საქართველოს ჩაის**“ საზოგადოების, ისე ყველა კოლმეურნე თუ ინდივიდუალური ღარიბ და საშუალო გლეხის მხრით. ვიტყვით პირდაპირ: **ეს საქმე მოითხოვს სრულ განახლებას** ყველა იმ ორგანოების და ორგანიზაციებისა, რომლებიც უშუალოდ ჩაბმული არიან ჩაის საქმეში, ეს მოითხოვს დღემდის ჩაის კულტურის პრაქტიკაში მიღებულ მეთოდების რადიკალურად შეცვლას; და დასასრულ, ეს მოითხოვს უმაღლეს ორგანოების და ორგანიზაციების მხრითაც დღემდე მიღებულ მიდგომის ძირითად შეცვლასაც.

ასე დგას საკითხი. ეს გამომდინარეობს მთელი წარსული გამოცდილებიდან, რომელიც ჩვენ გვაქვს ჩაის პლანტაციების გაშენების საქმეში.

დამახასიათებელია და მეტად საგულისხმიეროც შემდეგი გარემოება: როცა ჩაის კულტურის სირთულე ან სიძნელე სწადიათ წარმოგვიდგინონ, მაშინვე დაიწყებენ ლაპარაკს იმაზე, რომ **ჩაის კულტურა** ჩვენში თითქო სრულიად ახალი ამბავი იყოს, — ამიტომ ჩვენ მას ჯერ კიდევ ვერ ვიცნობთო და სხვა ამგვარები. ასეთი მტკიცება ხშირად გვესმის ჩვენ ზოგიერთ ძველ აგრონომიდანაც, რომლებიც ჩაის კულტურას ჩვენში რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში იკვლევდენ და სწავლობდენ. რას ნიშნავს მტკიცება, რომ ჩაის კულტურა საქართველოში თითქო ახალი საქმე არის. საქმე ის არის, თუ ვის როგორ ესმის ეს სულ ცოტა 30-40 წელიწადი მაინც გავიდა მას შემდეგ, რაც ჩაის ბუჩქების გაშენება დაწყებული იქნა ბათომის რაიონში და ამ ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა დაკვირვება ამ კულტურაზე.

ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ჩაის კულტურა ჩვენში არც ისე ახალი რამაა, როგორც ეს სურთ ზოგიერთებს ჩვენ წარმოგვიდგინონ. უფრო მართალი და სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სათანადო დაკვირვება ჩაის ბუჩქების გაშენებაზე, მის გამოკვლევა - შესწავლაზე არ სწარმოებდა. ის ცდებიც ჩაის კულტურის დარგში, რომლებიც მრავლად მოიპოვება ჩვენსა და უცხო ლიტერატურაში სრულიად გამოუყენებელი დარჩა და გასაკვირალია ის, რომ ამ უკანასკნელ 5-6 წლის განმავლობაშიაც, როცა ჩაის კულტურას უდიდესი ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების მხრით და როცა ამ საჭიროებებისათვის საკმარისი თანხები იყო გადადებული და იხარჯებოდა, სინამდვილეში ჩვენ ვერ ვამჩნევთ აქ სათანადო წინსვლას, მაშინ, როცა ჩვენ სულ სხვას მოველოდით იმათგან, ვისაც ჩაის გაშენების საქმე უშუალოდ ჩაბარებული ჰქონდათ, ე. ი. „საქართველოს ჩაი“-ს საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ოდნავადაც არ ამცირებს ზემდგომი ორგანოების შეცდომებს, რაც გამოიხატა იმაში, რომ უკანასკნელნი სავსებით დაენდვენ „საქართველოს ჩაი“-ს საზოგადოებას და სჯეროდათ, რომ იქ ყველაფერი კარგად არისო.

„საქართველოს ჩაი“-ს საზოგადოებაში კი საქმე ფუჭდებოდა და არ კეთდებოდა. დღეს ირკვევა, რომ **ამ საზოგადოებამ დღიდან თავის არსებობისა კარები მაგრად ჩაიკეტა**, რომ იქ დღის სინათლე არ შეპარულიყო. იქ გამეფდა რუტინა, სულისშემხუთველი ბიუროკრატიზმი, ყალბი ინფორმაციის მიცემა უმაღლეს ორგანოებისათვის და სხვა და სხვა. ყველა ამას თავისთავად უნდა მოჰყოლოდა პასუხიმგებელ მუშაკების მხრით მთელი რიგი ბოროტმოქმედებათა და პირდაპირ დანაშაულობათა ჩადენა. იძენდენ საზღვარგარეთ ოქროთი ჩაის დიდ ძალ თესლს, ამპალს და უვარგისს, რომელიც შემდეგ ზღვაში იყრებოდა. ჩაის პლანტაციების გაშენება ხდებოდა ნიადაგის შეუსწავლელად და თითქმის დღესაც ასეა; ნიადაგის ბარვა ხდებოდა და ხდება ისე, რომ მისი ჩამორეცხვა აუცილებელი იყო; ჩაის ბუჩქის გაშენების **წესების და მეთოდების** (გადარგვით სანერგეებიდან, თუ პირდაპირ თესლის ჩაყრით სამუდამოდ, აგრეთვე რა სიღრმით ჯობია მოხნა თუ დაბარვა ნიადაგის ბუჩქის სიმძლავრისათვის და კარგი მოსავლიანობისათვის და სხვ. და სხვ.) გამორკვევა და გამომუშავება სისტემატიურად **წარმოებულ ცდების** საშუალებით, რაც პირველ რიგში ევალებოდა მიწსახკომს, ა. საზ. „**საქართველოს ჩაის**“, განსაკუთრებით კი ჩაის საქმეში ჩაბმულ მსწავლულ აგრონომებს და რაც იმათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა, — ვიმეორებ, ყოველივე ეს, რაც ჩაის საქმის განვითარებისათვის, ამ საქმის სათანადო დონეზე დაყენებისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს, დღემდის **თითქმის სავსებით ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს.**

ეს სამწუხარო ამბავი დადასტურებულ იქნა ამას წინად ქ. ბათომში ჩაის კულტურის საკითხების შესახებ მოწვეულ **აგრო - ტეხნიკურ თათბირზე** (ამა წლის ნოემბრის 1-6 რიცხვებში), რასაც უფრო დაწვრილებით ქვევით შევეხები.

რით იყო გამოწვეული ყველა ეს სამწუხარო მოვლენები: უწინარეს ყოვლისა „საქართველოს ჩაი“-ს საზოგადოების გამგეობის **სინამდვილიდან სრულიად მოწყვეტით, პარტიის და ხელისუფლების დავალებათა დავიწყებით, ბიუროკრატიული კარჩაკეტილობით, პასუხიმგებლობის სრულ შეუგნებლობით** და შემდეგ „საქ. ჩაი“-ს **გამგეობის მოქმედებით ყოველივე კონტროლის გარეშე.** როგორც პარტიის, ისე ხელისუფლების ყველა ორგანოები დააჯერეს იმაში, რომ დასახელებული საზოგადოების გამგეობა მუშაობს ნაყოფიერად, რომ ჩაის პლანტაციების გაშენება სწარმოებს წარმატებით, რომ ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი მატულობს, რომ პროდუქციის თვითღირებულება კლებულობს, რომ საზოგადოებას აქვს მოგება და სხვ. და სხვ. ყველაფერი ეს იყო **სიცრუე, ტყუილი.**

იმ დროს როცა საზოგადოების წარმომადგენლები (სუგაკი და სხვები) ასეთ ყალბ მოხსენებას აკეთებდენ საქ. კომპარტიის ცეკაში და სახკომსაბჭოში, „საქართველოს ჩაის“ საზოგადოების ბუღჰალტერია აღნიშნავდა საზოგადოების ზარალს, პროდუქციის თვითღირებულების ზრდას, და მისი ხარისხის დაბლა დაწევას. მართალი იყო მხოლოდ ერთი რამ: ჩაის პლანტაციების ფართობი იზრდებოდა. მაგრამ ამ ზრდას შეუძლებელია ადგილი არ ჰქონოდა. ეს იყო პირდაპირი შედეგი იმ ღონისძიებების რომელთაც უშუალოდ ღებულობდენ და ღებულობენ დღესაც პარტიის და ხელისუფლების ორგანოები, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ. ამ შემთხვევაში „საქ. ჩაის“ გამგეობა ვალდებული იყო ეზრუნა ახალი პლანტაციების ხარისხის აწევაზე და მეორე მხრით ძველი პლანტაციების მოვლა პატრონობაზე, რისთვისაც საჭირო იყო შესაფერი აგროტეხნიკური პირობების შექმნა. დღეს მე სრულ პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „საქ. ჩაის“ გამგეობამ ვერ შეასრულა ეს დავალება ვერც ძველი და ვერც ახალი პლანტაციების მიმართ. ქვევით მე დავასაბუთებ ამას. სამწუხაროდ, ეს ჩვენ გვიან გავიგეთ. სუგაკი და მისი ძმაბიჭები ყოველღონეს ხმარობდენ, რათა „საქ. ჩაის“ აპარატის საიდუმლოებანი არ გამომჟღავნებულიყო. უნდა ითქვას, რომ ეს ხალხი ამას დიდი მოხერხებით ანხორციელებდა. ამის დასამტკიცებლად აქ საკმარისია მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი.

დაახლოვებით გასული 1930 წ. დასაწყისში „საქ. ჩაის“ გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ბ. კვირკველია. ამხ. კვირკველიამ ჩაის საქმეების გაცნობის მიზნით უპირველეს ყოვლისა ჩაის საბჭოთა მამულების მდგომარეობის გამოკვლევა ეკონომიური თვალსაზრისით მიანდო **ამხ. ჭუმბურიძეს.** შემდეგ მოწვეულ იქნენ ინგლისელი ორი ცნობილი სპეციალისტი ჩაის საქმისა. სუგაკმა და კომპანიამ მაშინვე იგრძნეს, რომ ყოველივე იმ ბოროტებას, რაც იმათ „სამეფოში“ ხდებოდა გამომჟღავნება მოელოდა. ამიტომ სუგაკი დაუყონებლივ ღებულობს სათანადო ზომებს. უწინარეს ყოვლისა მან გასცა ბრძანება თავის აპარატისადმი, რომლის ძალით ინგლისელ სპეციალისტების მოხსენებითი ბარათები ჩაის პლანტაციების მდგომარეობის შესახებ არამც და არამც კვირკველიასათვის არ ეჩვენებიათ, არამედ პირდაპირ მისთვის გადაეცათ. ეს თითქო დაუჯერებელი რამ არის. კვირკველია ხომ თავმჯდომარე იყო, სუგაკი კი მისი მოადგილე. მაგრამ სუგაკს მთელი აპარატი ისე ყავდა აღზრდილი, რომ ის მისი სრული მორჩილი იყო და ამიტომ მოხდა, რომ ინგლისელ სპეციალისტების მოხსენებითი ბარათები რომლებშიაც ავტორები იწუნებდენ და უვარგისად თვლიდენ ჩაის კულტურის საქმეში მთელ ჩატარებულ მუშაობას, კვირკველიასათვის შეუმჩნევლად დიდი ხნის განმავლობაში უცნობი დარჩა. ეს ადვილი გასაგები იყო. სუგაკს და მის მომხრეებს არ შეეძლო არ ეგრძნოთ აქ დამნაშავეებად თავიანთი თავი. მაგრამ იმის მაგივრად, რომ მათ გულწრფელად აღეარებინათ თავისი ცოდვები ენთო თავისი შეცდომები და ამით რამდენიმედ მაინც შეემსუბუქებინათ თავისი დანაშაულება, ისინი შეეცადნენ ამის დამალვას. მაგრამ ამით დაივიწყეს ხალხური ანდაზა, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. რა თქმა უნდა, იმათი შეცდომები ჩაის საქმეში, ჩქარა გამოაშკარავდა.

რას ამბობდენ ინგლისელები? ისინი ამბობდნენ იმას, რომ ჩაის ბუჩქები ისეა გაშენებული, რომ იმათ რამდენიმე წლის შემდეგ დაღუპვა მოელის ჩამორეცხვის გამო. შემდეგ ისინი უსაყვედურებდენ „საქ. ჩაის“ მესვეურებს იმას, რომ თქვენ გაატიტვლეთ სულერთიანათ საჩაიე ადგილები მცენარეებისაგან, რომ თქვენ პირწმინდათ გაჩეხეთ ტყეები და არ დატოვეთ ალაგ-ალაგ მაინც მცენარეები ჩაის ბუჩქების დასაცავად ქარისაგან და ჩამორეცხვისაგანო. და ისინი ურჩევდენ ჩაის გაშენებას ფერდობ ადგილებზე ჩაის გაშენებას **ტრანშეების სისტემით.** ინგლისელი სპეციალისტები ამტკიცებდენ, რომ ეს სისტემა უკვე შემოღებულია საზღვარგარეთ, რომ ამის შესახებ უკვე არსებობს სპეციალური ლიტერატურაო. ამასთან ერთად ვამოაშკარავდა, რომ ეს ლიტერატურა ნათარგმნიც ყოფილა რუსულ ენაზე და თურმე ნუ იტყვით, „საქ. ჩაის“ ბიბლიოთეკის თაროებს ამშვენებდა კიდევაც. მაგრამ „საქ. ჩაის“ აგრონომები ამ ახალ აგრონომიულ მეთოდს არ ცნობდენ ღირსად არა თუ გამოყენებისა, არამედ გაცნობისაც კი. მაშინ როცა ტრანშეების სისტემა ფერდობ ადგილებზე ერთად-ერთი გონიერი სიტემაა და სავსებით მისაღებია; ის იგივე **ტერრასული სისტემაა** ცოტაოდენი განსხვავებით. მაგრამ წარმოიდგინეთ ამ ხალხის კადნიერება თუ სრულებით უადგილო თავმოყვარეობა. ეს ხალხი გაჯიუტდა და წინააღმდეგი შეიქნა ტრანშეების სისტემისა. განსაკუთრებული სიკერპე გამოიჩინა ამ მხრით სუგაკმა. იგი საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა აგიტაციას ამ სისტემის წინააღმდეგ აგრონომებს შორის. ეტყობოდა, რომ, როგორც სუგაკმა, ისე „საქ. ჩაის“ აგრონომებმა, ზოგიერთების გამოკლებით, ეს უსაჭიროესი აგრო - ტეხნიკური ღონისძიება თავისი პირადი თავმოყვარეობის საგნად აქციეს.

ამნაირად ისინი ლამობდენ ჩაის კულტურის განვითარების ბედი ენაცვლებიათ თავიანთ პირად ინტერესებისათვის. მართალია შემდეგ ეს ხალხი იძულებული შეიქნა ეცნო ტრანშეების სისტემა, მაგრამ მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ეს ცნობა **მხოლოდ ფორმალურია;** მართალია ისინი ახლა ცნობენ ამ სისტემას და თითქოს კიდეგაც შეუდგენ მის გატარებას სინამდვილეში. მაგრამ მე ვაცხადებ, რომ სუგაკის მომხრე აგრონომებს არ შეუძლიათ გულდაგულ მოიწადინონ მისი განხორციელება, **ისინი უფრო შეეცდებიან ხელი გა**უტეხონ ამ სისტემას. ყველა იმის შემდეგ რაც ზევით იყო ნათქვამი, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. ასეთია ჩემი შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე ჩაქვის საბჭოთა მამულის დათვალიერების დროს. ამის შესახებ ქვევით ვიტყვი რამდენიმე სიტყვას. ამიტომ მე ვამბობ, რომ ამ გარემოებას ახლავე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ასე იყო თუ ისე, სუგაკი და მისი ამხრეები სასტიკად დამარცხდნენ ამ ბრძოლაში, რომელიც მათ აუტეხეს ინგლისელ სპეციალისტებს ჩაის პლანტაციების რაციონალურად გაშენების საქმეში. მაგრამ, სამაგიეროდ, სუგაკი და მისი ძმა - ბიჭები გამარჯვებულნი გამოვიდენ ჭუმბურიძესთან შეტაკების დროს. აქ საქმე სხვანაირად წყვიდა, პირველ ხანებში მაინც.

საქმე შემდეგში იყო.

ჭუმბურიძის მიერ დეტალური და საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაის საბჭოთა მამულების — ეს იყო არსებითად ნამდვილი საბრალდებულო აქტი „საქ ჩაის“ გამგეობის წინააღმდეგ სუგაკის მეთაურობით. იქ იყო წამოყენებული მთელი რიგი ბრალდება, „საქ. ჩაი“-ს გამგეობის წინააღმდეგ, რაც დასაბუთებული იყო უტყუარი ფაქტებით, თვით „საქ. ჩაი“-ს გამგეობის ოქმებიდან ამონაწერით. აშკარაა სუგაკისა და მისი მომხრეების ინტერესები თხოულობდა, საქმე აქამდის არ მისულიყო და უნდა ითქვას, რომ ამ ხალხმა თავის მიზანს მიაღწია კიდეც. სრულებით ზედმეტად იქნა ცნობილი ჭუმბურიძის მოხსენების არა თუ განხილვა სათანადო ორგანოებში („საქ. ჩაი“-ს გამგეობა, ცეკაში, სახკომსაბჭოში და სხ.), არამედ მისი გაცნობაც კი. აშკარაა, რომ ეს სრულიად დაუშვებელი რამ იყო. ნუ თუ ამოდენა მოხსენებაში ერთი ნამცეცი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა არ იყო? თითქმის 5 პროცენტით მაინც? მიუხედავად ამისა ეს ასე მოხდა. და მთავარი ბრალი ამაში მიუძღვის მაშინდელ **პარტიულ ხელმძღვანელობას ამხ. ქართველიშვილის და მამულიას მეთაურობით.** სამწუხაროდ ამ ამხანაგებმა არ მოისურვეს სიმართლის გაგება. იმათ სრული ნდობა გამოუცხადეს სუგაკის ჯგუფს და იმავე დროს მთელი ბრალი 1930 წლის შემოდგომის ჩაის გეგმის ჩაშლისათვის ყოვლად უსაბუთოდ მიაწერეს ამხ. კვირკველიას, რომელიც სწორედ ამ ხნის განმავლობაში იმათივე განკარგულებით გაგზავნილი იყო ბორჩალოში ბამბის აღების კამპანიის ჩასატარებლად.

ასე და ამგვარად, ნებით თუ უნებლიედ, დამნაშავენი გამართლებულ იქნენ და მართალნი გამტყუნებულნი.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოს და ბოლოს სიმართლემ მაინც გაიმარჯვა. ამა წლის 31 ოქტომბრის საკ. კომ. პარტიის ცეკას დადგენილებით ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის კომპარტიების ცენტრ. კომიტეტების მოხსენების გამო, და მასთან ერთად ა.-კ. და საქართველოს წინანდელ პარტიულ ხელმძღვანელობის გამოცვლის მეოხებით იმ მახინჯებებს და სისაძაგლეთ, რასაც ადგილი ჰქონდა „საქ. ჩაი“-ს ხელმძღვანელობაში და რასაც აუცილებლად დიდი უბედურება უნდა მოჰყოლოდა ჩაის კულტურის საქმეში, უკვე ფარდა ეხდება ამ დარგში ძირითადი ცვლილებების მოხდენით.

მაგრამ სანამ ჩემი წერილის ამ თავს დავამთავრებდე, საჭიროდ მიმაჩნია ერთ მეტად საყურადღებო გარემოებაზე შევჩერდე, რომელიც იმავე დროს საუცხოვოდ ახასიათებს სუგაკს და მის ჯგუფს, „საქ. ჩაი“-ს გამგეობაში მოკალათებულთ. მე ვლაპარაკობ ამხ. ბარკალაიას უდიდესი მნიშვნელობის გამოგონების შესახებ ჩაის დარგში. ამ გამოგონების შესახებ დღეს, ალბად ყველამ იცის, განსაკუთრებით მოსკოვის გაზეთების შეოხებით. სამწუხაროდ, ტფილისის გაზეთები („კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ და სხვ.), რომელთაც ამ საქმისათვის უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექციათ. ამხ. ბარკალაიას გამოგონების შესახებ ალაპარაკდენ მხოლოდ ძლიერ გვიან აქ ლაპარაკია ე. წ. „ჩაის აგურის“ გაკეთებაზე ჩვენში. ეს ჩაი, როგორც იცით ჩვენ შემოგვაქვს ჩინეთიდან და გვიჯდება ძვირად, მაშინ როცა მისი გაკეთება ჩვენშიაც შეიძლება. ამხ. ბარკალაია, რომელიც ერთ დროს მუშაობდა ჩაქვში ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, როგორც მუშა, შესდგომია სწორედ აი ამ ამოცანის გადაჭრას, ე. ი. „ჩაის აგურის“ გაკეთების მეთოდის შესწავლას და მოუხდენია ისეთი გამოგონება ამ მხრივ, რომელიც შესანიშნავად აადვილებს და თანაც აიაფებს „ჩაის აგურის“ წარმოებას. ამხ. ბარკალაიას ამ გამოგონების შესახებ მაშინვე ეცნობებია „საქ. ჩაი“-ს გამგეობისათვის. როგორც ეხლა ირკვევა, ეს საქმე ჩავარდნია ხელში ჩაის კულტურის ბედის გადამწყვეტს ჩვენში სუგაკს. ეს იყო ჯერ კიდევ 1926 წელს. იმის მაგიერ, რომ სუგაკს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ამ გამოგონებისათვის და ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა მუშა-გამომგონებლისათვის მისი გამოგონების ცხოვრებაში განსახორციელებლად, — რაც შეადგენდა მის პირდაპირ მოვალეობას, — მან (სუგაკმა), პირიქით, ყოველივე საშუალება იხმარა იმ მიზნით, რომ ამხ. ბარკალაიას მეტად საყურადღებო გამოგონება „საქ. ჩაი“-ს წიაღში საბოლოოდ დაემარხა. მე არ გამოვუდგები აქ იმის აწერას, თუ რა ღონისძიებებს მიმართავდა ამ მიზნით სუგაკი 1926 წლიდან 1931 წლის ზაფხულამდე. ეს უკვე იყო აწერილი გაზეთებში. რასაკვირველია, სუგაკის მოქმედება, — სურდა ეს მას თუ არა, — ობიექტიურად ნიშნავდა მავნებლობას. მაგრამ სუგაკის მოქმედებაში არის ამასთანავე „ხლეს ტაკოვშინის“ ნამდვილი ნიშნებიც.

რომ სუგაკის სახით ხლესტაკოვისებურ გმირთან გვაქვს საქმე, ეს მტკიცდება სხვათა შორის ვინმე ბორის **კოჟარინოვის** ერთი წერილიდან, რომელიც სამწუხაროდ მოთავსებული იყო 1930 წელს მოსკოვის გაზ. „პრავდა“-ში (31 მაისი), შემდეგი სათაურით: „აქ კეთდება საბჭოს ჩაი“ („Здесь делается советский чай“) როგორც სჩანს ამ წერილიდან ამხ. კოჟარინოვი მისულა ჩაქვში, სადაც მათ შეხვედრია სუგაკი, რომლის მეშვეობით კოჟარინოვს „გაუცვნია“ ჩაის კულტურის განვითარების საქმე საქართველოში. მაგრამ ვაი ამასთანა გაცნობას! კოჟარინოვი თავის წერილში ისე გვიხატავს ჩაის განვითარების საქმეს საქართველოში, რომ ეს თითქო სავსებით და სრულიად მარტოდ მარტო სუგაკის საქმე ყოფილიყოს; თურმე სუგაკი, რომ არ ყოფილიყო, საქართველოში ჩაის ქჰანებაც არ იქნებოდა. წინედ იყო ვინმე ჩინელი ლაო ჯან-ჯან, რომელიც რა თქმა უნდა, გაძევს. „იმის მაგიერ, მოგვითხრობს კოჟარინოვი, საბჭოთა ჩაის გასაშენებლად მოვიდა მეფოდი აგაფონის-ძე სუგაკი, უკრაინელი და ბოლშევიკიო“. აი თურმე როგორ იწერება ისტორია! კოჟარინოვის წერილის წაკითხვის შემდეგ სუგაკს შეეძლო ეთქვა: საბჭოს ჩაი — ეს მე ვარო! თურმე ნუ იტყვი: აგურის ჩაის კეთებაც კი მეფოდი აგაფონის-ძეს შემოუღია ჩვენში! ამ საქმეს აგვიწერს იგივე კოჟარინოვი ასე ვთქვათ მხატრული სტილით: „ამაოდ იტეხდენ თავს და ვერ შესძლეს მიეხწიათ, ჩინელები კი გვატყუილებდენ და გვარწმუნებდენ, რომ ეს მეტის მეტად ძნელი რამაა, და ჩვენ პირობებში თითქო განუხორციელებელიო. უმჯობესია ამას თავი დავანებოთ, არ ღირს რომ ამისათვის დაიხარჯოს დრო და ფულიო. სხვა ვინმე ამას, მართლაც თავს დაანებებდა, მაგრამ არა სუგაკი, — ეს ხუთწლიანი გეგმის ჯარისკაცი...! განა ტყუილა კიდევ ერთხელ მოიარა მან ცეილონი, ფორმოზა და სხვ. ადგილები, სადაც ჩაი იზრდება. განა ტყუილად გამოუშვა მან წიგნი თავის მოგზაურობას შესახებ. მივაღწევთო, და მიაღწიეს კიდევაც... და პრესის საიდუმლოება აღმოჩენილ იქნაო“... ყოველივე ეს სასწაული მოუმოქმედებია, კოჟარინოვის სიტყვით, იმავე მეფოდი აგაფონის-ძე სუგაკს. და არავინ არ იცოდა, რომ სწორედ ამ დროს ეს სუგაკი ასამარებდა ამხ. ბარკალაიას უდიდესი მნიშვნელობის გამოგონებას არა თუ მარტო აგურის ჩაის კეთების დარგში, არამედ საალმშენებლო მასალათა დამზადების დარგშიაც მაგრამ კოჟარინოვი „მოხიბლა“ თვით სუგაკმა. კოჟარინოვმა რა იცოდა თუ მას საქმე ჰქონდა გოგოლის ცოცხალ გმირთან. სამწუხაროდ, ასე ადვილად სტყუვდებიან სხვებიც, ახლა წარმოიდგინეთ ამხ. კოჟარინოვის უხერხული მდგომარეობა, რადგანაც სწორედ ერთი წლის შემდეგ იგივე „პრავდა“ სულ სხვა რამეებს სწერდა სუგაკის შესახებ. ეს კარგი მოსაწავებელი გაკვეთილია ყველა იმისათვის, ვინც ასე უსაფუძვლოდ და უსაზღვროდ ნდობას უცხადებენ ყველა ჯურის სუგაკებს ან იმათ, ვინც „საბჭოთა ჩაი“-ს შესახებ აცხობენ კორესპონდენციებს ისე, რომ ჩაის რაიონები არც კი უნახავთ. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს სხვათა შორის ი. მ. ეკონომნის წერილიც გაზ. „პრავდა“-ში (15 სექტემბრ. 1931 წ., № 314) სათაურით: „**გადავაქციოთ საქართველო საბჭოთა ცეილონად**“ (Превратим Грузию в советский цейлон“). ამ წერილში გარდა სათაურისა, სრულებით არაფერია. რა თქმა უნდა, ასეთი წერილებით, სადაც კონკრეტული სინამდვილეზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ჩვენ საქმეს ვერ დავეხმარებით

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა

კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებით უზრუნველყოთ ჩაის დარგში მოცემული გეგმების შესრულება

ოჩხამურმა გაიმარჯვა

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას 1931 წლის მეორე ნახევარში უნდა მოემზადებინა ჩაის ახალი პლანტაციებისათვის 80 ჰექტარი ფართობი. ოჩხამურმა, მიუხედავად ცუდი ამინდისა (წვიმა, თოვლი) **1932 წლის 1-ლ იანვრისათვის შესძლო გეგმის გადაჭარბებით შესრულება: ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად მზად არის 83 ჰექტარი.**

ოჩხამურის სატრაქტორო ბაზა, რომლის განკარგულებაში 28 ტრაქტორია, ძლიერ ცუდათ მუშაობს. შემოდგომის პერიოდში ბაზას უნდა გადაეხნა 700 ჰექტარი მიწა როგორც აჭარისტანში, ისე გურიაში,. მაგრამ **ბაზამ შესძლო მხოლოდ 250 ჰექტარის მოხვნა,** რაც უდრის გეგმის 30 პროც. შესრულებას.

ბაზის ცუდი მუშაობა გამოწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ სუფევს გაუპიროვნება, გათანაბრება, არ არის განხორციელებული სამეურნეო ანგარიში, ტრაქტორისტებს შორის არ არის გაშლილი სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა. სუსტია აგრეთვე კულტურული მუშაობა.

ოჩხამურის ჩაის მეურნეობის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს შეადგენს ცუდი ბინები. ამასთანავე, არსებული ბინები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. მეურნეობის დირექტორი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობა მიიღებს მუშებს, იგი ვერ შესძლებს მათ უზრუნველყოფას ბინებით.

მეურნეობას ესაჭიროება მუშების მუდმივი კადრი, რისთვისაც საჭიროა 250 ოთახის აგება. ამ მიზნით მეურნეობამ გამოითხოვა „საქ. ჩაი"-საგან 1 მილიონი მანეთი, მაგრამ „საქ. ჩაი"-მ დაუთმო ოჩხამურს მხოლოდ 500.000 მანეთი, რაც უეჭველია, არ არის საკმარისი. ოჩხამურს, ბინების გარდა, ესაჭიროება კლუბი, საავადმყოფო, სამკითხველო, აბანო და სხვ.

ოჩხამურის ჩაის მეურნეობას უკავია დიდი ადგილი, იგი გადაჭიმულია რამოდენიმე ასეულ კილომეტრის მანძილზე. ძლიერ დაშორებულია ცენტრიდან ის პლანტაციები, სადაც უნდა დაიწყოს ჩაის თესვა და სხვ. ასეთ პირობებში საჭიროა კარგი გზები, რომ მიმოსვლა მეურნეობის ცალკე უბნებს შორის შეუფერხებლივ სწარმოებდეს. უკვე დიდი ხანია, რაც დაიწყო მეურნეობაში საგზაო მშენებლობა, მაგრამ დადებითი შედეგები არ არის მიღწეული. ოჩხამურის გზები სავსებით უვარგისია.

გზებით სარგებლობა შეუძლებელია. ამ გარემოებას ოჩხამურის დირექციამ დროზე მიაქცია ყურადღება, გამოტანილი იქნა სათანადო დადგენილებანი პარტიის აჭარ. საოლქო კომიტეტის მიერ, **მაგრამ მშენებელი ორგანიზაციები არა ფიქრობენ ახალი გზების გაყვანაზე და არსებულ გზების მოწყობის დამთავრებაზე.**

ჯემალ გურჯიძე.

„საქართველოს ჩაი"-მ თავი უნდა დააღწიოს ჩამორჩენას

ნიადაგის მომზადებას პლანტაციების გაშენებისათვის ჩაშლის საფრთხე მოელის. გეგმის მიხედვით წლის მეორე ნახევარში უნდა მომზადებულიყო **8.500 ჰექტარი, მომზადებულია მხოლოდ 3.463 ჰექტარი,** რაც შეადგენს **გეგმის შესრულების 40,7 პროცენტს.**

კოლმეურნეობებში გეგმა შესრულებულია 38,3 პროც., საბჭოთა მეურნეობებში—კი 54 პროც. მიუხედავად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის გადაწყვეტილებებისა ჩაის დარგში დასახულ ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის შესახებ „საქართველოს ჩაი"-მ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა, რამაც **გამოიწვია გეგმების შესრულების ჩაშლა.**

„საქართველოს ჩაის" სატრაქტორო პარკის მუშაობა ჯერ კიდევ მოუგვარებელია. იქ კიდევ გაბატონებულია გაუპიროვნება, მუშაობის სოციალისტური მეთოდების ჩამორჩენა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ სატრაქტორო პარკი, რომელსაც უნდა დაემუშავებია 3.165 ჰექტარი, დაამუშავა მხოლოდ 1.161 ჰექტარი — გეგმის 36,7 პროც.

„საქართველოს ჩაი"-მ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს საბჭოთა კავშირის ცენტრალური საკონტროლო კომისიის-მუშგლეხინის დადგენილება და გარდაქმნას თავისი მუშაობა. (ალს)

მუშა-ხელის შეგროვებაზე არ ზრუნავენ

ქობულეთის რაიონში, სოფ. ცეცხლაურში 1931 წელს დაარსებული იქნა მანდარინის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ა.-ქ. ბაღბოსტანკავშირს ეკუთვნის. აღნიშნულ მეურნეობების დირექტორად ითვლება ამხ. ჯემალ აბულაძე. მეურნეობას 1931 წელს მანდარინისათვის უნდა მოემზადებია 150 ჰექტ. ნიადაგი, **გეგმა 100 პროც. იქნა შესრულებული.**

მიღწევებთან ერთად მეურნეობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს. **მუშებს შორის დღემდე არ არის შემოღებული პროგრესიული სანარდო სისტემა, არ არის ცხოვრებაში გატარებული ბელადის ექვსი მითითება. მეურნეობის დირექციამ დღემდე ვერ შესძლო მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვება; მათ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დადებისათვის თავი არ შეუწუხებიათ.**

მეურნეობის დირექცია სხვა ორგანიზაციას არ სცნობს, პირიქით, ის ამ ორგანიზაციების ავტორიტეტის დაცემაზე ფიქრობს: მაგ., აბულაძემ მუშკომის მიმართვა მუშების დაწინაურების შესახებ, — დახია.

მეურნეობამ შეიძინა რადიო, რომელიც უნდა დადგმულიყო წითელ კუთხეში, ან მუშათა საცხოვრებელ ბინაში, მაგრამ დირექტორმა ეს არ მოისურვა და რადიო დადვა თავის ოთახში. მეურნეობაში კულტურულ მომსახურეობის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მოვითხოვთ ა.-ქ. „ბაღბოსტანკავშირის" მეურნეობაში არა ნორმალურ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

ჩაქველი

როგორ დაამთავრეს ჩაის კოლმეურნეობებმა 1931 წელი

1931 წლის მეორე ნახევარში ჩაის კოლმეურნეობებს, ჩაის პლანტაციების გასაშენებლად უნდა გადაებრუნებიათ 7.200 ჰექტარი. **პირველი იანვრისათვის ფაქტიურად გადაბრუნებული იყო 3.378,7 ჰექტარი, შესრულებული იყო გეგმის 46,9 პროც.** ამ რაოდენობიდან ხელით გადაბრუნებულია 2.137 ჰექტარი, ანუ გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 47,5 პროც. ხოლო ტრაქტორებით—1.241,6 ჰექტარი, რაც გეგმის 46 პროც. შეადგენს.

რაიონების მიხედვით კოლმეურნეობებს ნიადაგი გადაბრუნებული აქვთ:

რაიონები	ჰექტარი	გეგმის %
ბათომის	37	24,7
ქობულეთის	113,3	37,7
ოზურგეთის	181	38,1
ჩოხატაურის	64,1	16
ლანჩხუთის	280	41,7
სამტრედიის	46	20,4
ხონის	58	29
ტყიბულის	184,3	61,4
სენაკის	112,1	44
მარტვილის	169,6	26
ზუგდიდის	751,5	100,2
წალენჯიხის	316	52,7
ჩხოროწყუს	218	72,7
ხობის	50	14,3
გალის	296,4	59,3
კოდორის	301,5	86,1

ამრიგად **ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის დამზადების გეგმა გასული წლის მეორე ნახევარში მხოლოდ ზუგდიდის რაიონმა შეასრულა.** ქუთაისის და ვანის რაიონებს საანგარიშო პერიოდში ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის მზადება სრულიად არ უწარმოებიათ.

ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის დამზადების ასეთი ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა და „საქართველოს ჩაი"-ს აპარატი ამ საქმეში თვითდინებას დაეყრდნენ, სათანადოთ არ უხელმძღვანელეს ამ სამუშაოს.

ამ ჩამორჩენის გამო საგრძნობლად იზრდება მიმდინარე 1932 წლის პირველი ნახევრის საკონტროლო დავალება, ვინაიდან გათვალისწინებულ გეგმის შესრულებასთან ერთად ამ პერიოდში დაფარული უნდა იქნას აგრეთვე გასული წლის დანაკლისი.

ამასთან ერთად კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი უნდა იქნან სწორი ხელმძღვანელობით. კოლმეურნეებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ მათ წინაშე მდგომი ამოცანა: ჩაის პლანტაციების გაშენება ისე უნდა იქნას მიმართული, რომ მომავალი **„ხუთწლედის დამლევისათვის ამიერ-კავკასიამ სავსებით დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრით".**

ქ. ტ.



მაგნიტოგორსკის ჯებირის მშენებლობა

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდეს—მაგნიტოგორსკის ქარხნის ჯებირი აგებულ იქნა ხარისხიანად ვადაზე. ერთი კილომეტრის სიგრძის მქონე რკინა ბეტონის ახალი ჯებირი აგებულ იქნა 75 დღეში, სამი თვით ადრე, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული

მასწავლებელთა მომარაგებას მეტი ყურადღება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 5 სექტემბრის დადგენილება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასწავლებელთა მატერიალურ ყოფაცხოვრებითი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. ამ დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ამოცანები სკოლის მეთოდიურ ხელმძღვანელობის, მისი მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, მასწავლებელთა ყოფაცხოვრებით-მატერიალური მდგომარეობის განმტკიცების შესახებ და სხვ. შრომისა და თავდაცვის საბჭომ ა. წ. 23 ოქტომბერს გამოსცა სპეციალური დადგენილება მასწავლებლების ხელფასის გადიდების და მომარაგების გაუმჯობესების შესახებ.

აგრეთვე საქ. სახ. საბჭომ ა. წ. 18 სექტემბერს გამოიტანა დადგენილება მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და სხვ. როგორც სჩანს, პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს მასწავლებელთა მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მხრით ბევრი არაფერი არის გაკეთებული.

მომარაგების და ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სამომხმარებლო კოოპერაცია, ოპორტუნისტულად ეკიდებიან სადირექტივო ორგანოების დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებიც სრული უყურადღებობას იჩენენ ამ საქმისადმი.

მასწავლებლების ხელფასის გაცემა ორ-სამი თვით და ზოგიერთ რაიონებში კი 4 თვითაც გვიანდება, რის გამო, ამჟამად მასწავლებელთა ხელფასის დავალიანება დახლოვებით 5 მილიონ მანეთს აღწევს.

აგვისტოს და სექტემბრის ჯამაგირი დარიგდა მხოლოდ ნოემბრის 1-ში, ხოლო ოქტომბრის და ნოემბრის როდის დარიგდება არავინ იცის. ქუთაისის რაიონში მასწავლებლებს ნოემბრის თვის ჯამაგირი არ მიუღიათ, ტყიბულის რაიონში არც სექტემბრის თვის ხელფასი აქვს მიღებული სოფ. გურნისა და კურსების შვიდწლედის მასწავლებლებს.

სამხრეთ-ოსეთში მასწავლებლების ხელფასის დავალიანება აღწევს 91.000 მანეთს, ხოლო სტალინისში 60.000 მანეთს.

ბორჩალოს რაიონში ანგარიშები არეული აქვთ. ხელფასის გაცემის სწორი ცნობები არ მოეპოვებათ. ჩხოროწყუს, ხონის, წალენჯიხის, ონის, ზესტაფონის, მარტვილის, ხარაგოულის, ზუგდიდის და სხვ. რაიონის მასწავლებლებს არ მიუღიათ სამ-ოთხი თვის განმავლობაში ხელფასი.

ზოგან ხელფასს ჯერ თვითონ რაიონის მოსამსახურეებისათვის არიგებენ და თუ დარჩება შემდეგ მოაგონდებათ მასწავლებლები. ასე მაგ.: ტყიბულის, ქუთაისის, ზესტაფონის და სხვ. რაიონის აღმასკომის თანამშრომლებს მიღებული აქვთ ნოემბრის თვის ხელფასი და მასწავლებლებისათვის კი არ მიუციათ ოქტომბრის თვისაც.

ეს გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებლების ხელფასის ფონდი იხარჯება არა თავის დანიშნულების მიხედვით. ადგილობრივი ორგანიზაციები თავის სურვილის მიხედვით ხარჯავენ მასწავლებლებზე დასარიგებელ თანხებს. ოზურგეთში დაახარჯეს 104.000 მანეთი აღმასკომის შენობას, რომელიც ეხლა შენდება. ვანში მასწავლებლების ხელფასი ელექტროსადგურისაშენებაზე დახარჯეს საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატი, იმის მაგიერად, რომ სექტემბრის თვეში მოეხდინა გარდატეხა და ნოემბრამდი ხელფასის დავალიანება თავის დროზე გაენაწილებია, პირიქით, მოიქცა. არც ადგილობრივი საფინანსო განყოფილებები იქცევიან. როგორიც წესია—ზოგ ანგარიშების საქმე მოუწესრიგებელი აქვთ. (ოზურგეთი). ზოგს ხელფასის გაცემის საკითხის მოგვარებაზე ჯერაც არ უფიქრია (ბორჩალო). არც მასწავლებლების მომარაგების საქმე არის კარგად დაყენებული.

დადგენილება მასწავლებლების მეორე სიით მომარაგების შესახებ, ცხოვრებაში არ ტარდება.

ა.-კ. მომარაგების კომისარიატის დადგენილებით მეოთხე კვარტალში გამოიყო სპეციალური ფონდი მასწავლებლების მომარაგებისათვის. „ზაკსოიუზმა" თავის მხრივ ერთი თვის შემდეგ გადასწყვიტა ფონდების გამონახვა და მისცა ცეკავშირს განრიგი 309.500 მანეთის საქონლის გადადების შესახებ.

ამის შემდეგ ცეკავშირსა და განსახკომს შორის გაიმართა მიწერ-მოწერა ქალაქის მასწავლებლების რაოდენობის შესახებ. ცეკავშირმა 5 დეკემბერს თავის გამგეობებს მისცა განრიგი მასწავლებლებზე სამრეწველო საქონლის გაცემის შესახებ, შემდეგი წესით: საპონი 15.040 კილო, ხელის საპონი—16920 მან., შეკერილი ტანსაცმელი—59.100 მანეთის, ტრიკოტაჟი—12.900 მანეთის, ფეხსაცმელი—25.490 მანეთის, კალოშები 4.400 მანეთის და სხვ. მაგრამ ცეკავშირმა დღესაც არ იცის როგორ სრულდება მიცემული განრიგი. ნამდვილად ეგზავნება თუ არა ადგილებს საქონელი.

ტყიბულის რაიონში ჯერ არ არის მისული ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომარაგდნენ მასწავლებლები, რის გამოც მასწავლებლების მომარაგება „შემდეგისათვისაა გადადებული". ასეთივე მდგომარეობაა ლანჩხუთის და სხვა რაიონებში. გურჯაანის რაიონის მასწავლებლობას ივნისის თვიდან არაფერი არ მიუღია. ასეთივე მდგომარეობაა კასპის, თელავის, მარტვილის და სხვა რაიონებში.

ხშირად მასწავლებლებისათვის მისული საქონელი მათ არ ხვდებათ. ასე მაგ., ქუთაისის რაიონმა მე-3 კვარტალში მიიღო ცეკავშირიდან მასწავლებლებისათვის 255 წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც სასოფ. საბჭოებზე გაანაწილეს დასარიგებლად და აქედან მასწავლებლებს 20 პროც. ძლივს შეხვდა.

ზოგიერთ რაიონში მიღებული შეკერილი ტანსაცმელი ძალიან ძვირია, მისი ყიდვა მასწავლებელს არ შეუძლია. ლანჩხუთში მიღებულია პალტოები, რომელიც ღირს 140 - 150 მან.

ამის გარდა რაიონებში გზავნიან ფქვილს მასწავლებლობისათვის, რომელიც ხშირად გაფუჭებულია და გადასაყრელი ხდება. მოწაფეების მომარაგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უმრავლეს რაიონებში მოწაფეობა ვერ დადის სასწავლებელში ფეხსაცმელების უქონლობის გამო.

მასწავლებლობის კომუნალური მომსახურეობის შესახებ მიცემული იყო კონკრეტული მითითებანი შესაფერ ორგანიზაციებისადმი, მაგრამ ეს მითითებანი ცხოვრებაში გატარებული არაა.

ძალზე სუსტია აგრეთვე მასწავლებლების კვების მოწესრიგების საქმე. ზოგიერთ რაიონებში მასწავლებლები არ არიან მიმაგრებული დახურულ სასადილოებზე, თავის დროზე არ ეძლევათ საკვები პროდუქტები და სხვ.

მოყვანილი ფაქტები ამტკიცებს, რომ დღემდის საქ. მომარაგების კომისარიატმა და სამომხმარებლო კოოპერაციამ ვერ მოაწესრიგა მასწავლებლობის მომარაგების საქმე და საქ. ფინანსთა კომისარიატმა კი ხელფასის საკითხი.

იმ დროს, როდესაც პარტიამ და ხელისუფლებამ კარდინალურად დასვა საკითხი, რომ გარდატეხა მომხდარიყო მასწავლებლების ხელფასის და მომარაგების საქმეში, გაუმჯობესებულიყო მათი პირობები, ამ მხრივ გარდატეხა ჯერ არ მომხდარა.

პარტიის და ხელისუფლების დადგენილებების შესრულებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

საჭიროა მასწავლებელთა მომარაგების გაუმჯობესების საქმეში მოხდეს გადამჭრელი გარდატეხა. საქ. მომარაგების კომისარიატმა თავი უნდა დააღწიოს მასწავლებელთა მომარაგებისადმი ასეთ უყურადღებობას და აიღოს ბოლშევიკური ტემპები.

ელ. ჩხიკვაძე.

თამბაქოს დამზადება

„სოიუზტაბაკი" არ ღებულობს საჭირო ზომებს

დამზადებული თამბაქოს დროზე გადმოსაზიდათ რაიონებიდან

დაითესება 3500 ჰექტ. თამბაქო

ლაგოდეხი, 3 იანვარი. (საქ. კორ.) 1932 წლისათვის თამბაქოს თესვის საკონტროლო ციფრი რაიონს მოცემული ქონდა 5.000 ჰექტარი, რომელიც არ აღმოჩნდა რეალური და ის გადასინჯული იქნა რესპუბლიკანური ხელმძღვანელი ორგანოების მიერ.

გეგმის გადასინჯვის შემდეგ რაიონმა, 1932 წელში დასამუშავებლად საბოლოოდ მიიღო 3.500 ჰექტარი თამბაქოს დათესვა.

ეს საკონტროლო ციფრი განიხილა პარტკომის ბიურომ და წინადადება მისცა პარტიულ, კომკავშირულ და სხვ. ორგანიზაციებს აღნიშნული გეგმის შესასრულებლად ფართოდ გაშალონ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა.

ლომთაძე.

„სოიუზტაბაკი"-ს განყოფილება უპასუხისმგებლობას იჩენს

მიუხედავად იმისა, რომ „სოიუზტაბაკ"-მა წინასწარ იცოდა, თუ რა რაოდენობის თამბაქო უნდა დაემზადებია თვითეულ რაიონში,—მას არავითარი მოსამზადებელი მუშაბა არ ჩაუტარებია ამ დამზადების წარმატებით დამთავრებისათვის.

ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივების თანახმად, მას მიმდინარე წლის მოსავლის დამზადების დაწყებამდე უნდა აეშენებია 6 საწყობი, ამ საწყობების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ლაგოდეხიდან იტყობინებიან, რომ თამბაქოს საწყობები უკვე გაივსო და „სოიუზტაბაკი" იძულებული ხდება შესყიდული თამბაქო შეუფერებელ შენობებში მოათავსოს, სადაც ეს საქონელი დაზღვეული არ არის დაზიანებისაგან. ასეთივე მდგომარეობაა **სიღნაღში.** საწყობები აქაც გავსილია და შენობის უქონლობის გამო „სოიუზტაბაკ"-ი ველარ ღებულობს დაშორებულ პუნქტებიდან მოტანილ თამბაქოს და თამბაქოს ჩამბარებელი კოლმეურნეები, **ღარიბი და საშუალო გლეხები იძულებული ხდებიან ჩაუბარებლათ მოტანილი თამბაქო უკან წაიღონ,** რაც მეტად ცუდ გავლენას ახდენს თამბაქოს დამზადების ნორმალურ მსვლელობაზე.

თამბაქო სათუთი პროდუქტია, დაშორებული პუნქტებიდან იგი ისე უნდა იქნეს გადმოტანილი, რომ ატმოსფერული გავლენის გამო არ დაზიანდეს. ამიტომ „სოიუზტაბაკი" ვალდებული იყო თამბაქოს რაიონებში დროზე შეეტანა ბრეზენტების საკმაო რაოდენობა. მან ვერც ეს საქმე შეასრულა, დამამზადებელ აპარატს ადგილებზე არ მოეპოვებათ ბრეზენტების საკმაო რაოდენობა. რის გამოც თამბაქოს გადმოზიდვა დაშორებულ პუნქტებიდან შეფერხებულია. დაშორებული პუნქტების საწყობები უკვე გაივსო, თუ ეს მდგომარეობა დაჩქარებით არ გამოსწორდა და თამბაქოს დამზადების ნორმალურ მსვლელობას საფრთხე მოელის.

სოხუმი. დამკვრელი კომკავშირელი თამბაქოს დახარისხებაზე

ამრიგად „სოიუზტაბაკი" სათანადოთ მომზადებული ვერ შეხვდა თამბაქოს დამზადების კამპანიას. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მან დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები. დამამზადებელ აპარატს გადაუგზავნოს ბრეზენტების საჭირო რაოდენობა და მეთამბაქოების რაიონების ცენტრებში გამონახოს ისეთი შენობები, სადაც თამბაქო დაზღვეული იქნება დაზიანებისაგან.

ინდივიდუალური სექტორი ჩამორჩა

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ხულოს რაიონში გეგმით უნდა დამზადდეს 186.104 კილო თამბაქო. **3 იანვრისათვის დამზადებული იყო 156.729 კილო.**

უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური სექტორი ძლიერ ჩამორჩა თამბაქოს დამზადებაში: **48104 კილო თამბაქოს ნაცვლად მათ დაამზადეს მხოლოდ 493,5 კილო, რაც წლიური გეგმის 10 პროც. შეადგენს.**

არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე კოლმეურნეობებში, რომელთაც გეგმა შესრულებული აქვთ 38,4 პროცენტით.

შეუწყნარებელ დაუდევრობას იჩენენ კულაკური მეურნეობები, რომელნიც განზრახ აჭიანურებენ მტკიცე დავალებების შესრულებას.

ხულოს რაიკავშირი და ადგილობრივი საწარმოო ამხანაგობები არ იღებენ გადამჭრელ ზომებს კულაკების მიერ მტკიცე დავალებების თავის დროზე განაღდებისათვის.

ე. ხუციშვილი.

ცეკავშირმა უნდა გააძლიეროს მეთამბაქოების რაიონების მომარაგება

გეგმის თანახმად 1931 წლის მეოთხე კვარტალში მეთამბაქოების რაიონებში უნდა შეზიდულიყო სულ 626.300 მანეთის სამრეწველო საქონელი და 109.000 კილოგრამი შაქარი; ცეკავშირის ცნობით, დეკემბრის მესამე დეკადისათვის მეთამბაქოების რაიონებში შეზიდული იყო 193.365 მანეთის სამრეწველო საქონელი ე. ი. შესრულებული იყო გეგმის 30,8 პროც. მომარაგების გეგმის შესრულება შემდეგ სურათს გვაძლევს:

	მეთამბაქოების რაიონებში უნდა შეზიდულიყო:	ფაქტიურად შეზიდულია:
ბამბეული	89400 მ.	36164 მ.
ძაფი	5400 „	5400 „
თავსაფარი	16300 „	13310 „
მზა ტანსაც.	165100 „	15655 „
ფეხსაცმ.	100100 „	27887 „
ტრიკოტაჟი	40400 „	—
კალოში	45700 „	—
ხელის საპ.	15800 „	—
პაპიროსი	18600 „	—
სარეც. საპ.	88500 „	88500 „
ჩუსტები	40000 „	—
შაქარი	109000 კილ.	—
შალეული	— „	11499 „

ამრიგად მეთამბაქოების რაიონების მომარაგება მეოთხე კვარტალში დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. აღსანიშნავია ის, რომ ცეკავშირმა და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამ, რომელნიც უშუალოდ აწარმოებენ მეთამბაქოეთა მომარაგებას, **დანამდვილებით არ იციან, თუ როგორ ასრულებს მათ დაკვეთებს ცალკე დარგობრივი გაერთიანებები;** ასეთ პირობებში ცეკავშირი და სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია, ცხადია ჯეროვან ხელმძღვანელობას ვერ გაუწევენ მეთამბაქოების მომარაგებას.

არ მიაქვთ დამზადებული თამბაქო

სიღნაღი, 3 იანვარი. (საქ. კორ.) რაიონში თამბაქოს დამზადება წარმატებით მიმდინარეობს. გეგმის მიხედვით მესამე კვარტალში უნდა დამზადებულიყო — 32,4 ტ. ფაქტიურად კი დამზადდა 36 ტონა თამბაქო. მეოთხე კვარტალში — 68 ტონა თამბაქოს ნაცვლად დამზადდა — 96 ტონა.

ფართოდ გაიშალა მუშაობა 1932 წლის პირველი კვარტალის თამბაქოს დამზადების გეგმის შესასრულებლად.

აღსანიშნავია ის, რომ „სოიუზტაბაკი" არ ღებულობს ზომებს დამზადებული თამბაქოს გადასაზიდათ, რის გამოც საწყობებში დაგროვილია — 201 ტონა თამბაქო.

ნ. აკიელი.

II

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, რომ გავჩერდი ასე დიდ ხანს სუგაკზე, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ დღიდან „საქ. ჩაის" ა.-საზოგადოების დაარსებისა უკანასკნელ დრომდე განუწყვეტლივ ფაქტიურად ამ კაცის ხელში იყო ჩაის კულტურის განვითარების საქმე ჩვენში. მართალია, ფორმალურად იგი ითვლებოდა თავმჯდომარის მოადგილედ, მაგრამ მან ისე მოახერხა, რომ ამ ერთ-ერთ უდიდესი საკავშირო მნიშვნელობის საქმის თითქმის მთელი სვებედი მის ხელში დარჩა. ბევრს ჩვენგანს იგი ჩაის საქმის სპეციალისტიც ეგონა. იგი ამ დარგის ავტორიტეტად ითვლებოდა, ამიტომ მას უჯერებდენ (როგორც ხედავთ, არა მარტო კოჟარინოვი). ნათქვამია: ურემი, რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. აქაც ასე მოხდა: როცა ჩვენ ჩაის კულტურის განვითარების გეგმის შეფერხების წინაშე დავდექით, როცა გამოაშკარავდა „საქ. ჩაის" ხელმძღვანელობის სრული სიკოტრე, მხოლოდ მაშინ გამომჟღავნდა, თუ ვინ ყოფილა სუგაკი, აი სწორედ ასეთი ადამიანი უწევდა ხელმძღვანელობას ისეთ დიდ საქმეს, როგორიცაა ჩაის კულტურის განვითარება ჩვენში. დღეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სუგაკი მხოლოდ აფუჭებდა, უკეთეს შემთხვევაში აფერხებდა ამ დიდ საქმეს და, როგორც-ზევით იყო ნათქვამი, თუ, მიუხედავად იმისა, ჩაის პლანტაციების ფართობი ამ უკანასკნელ ხნების განმავლობაში ასე სწრაფად იზრდებოდა, ეს ხდებოდა სუგაკის და მისი დამქაშების სურვილის წინააღმდეგ. ეს იყო და არის შედეგი იმ ღონისძიებების, რომელთაც ღებულობდენ და იღებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები დაწყებული ცენტრიდან და გათავებული ადგილობრივი ორგანიზაციებით. აშკარაა, რომ „საქ. ჩაის" გამგეობა ყოფილიყო თავის სიმაღლეზე, ჩაის კულტურის ქვეშ ფართობის ზრდა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი იქნებოდა; ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა, მაგრამ აქ უნდა დაისვას საკითხი: რა მდგომარეობაშია ის ფართობი, ჩაის კულტურის ქვეშ, რომელიც ჩვენ „საქ. ჩაის" ა.-საზოგადოების არსებობის დროს იქნა დამუშავებული, და აგრეთვე როგორია მოვლილი ჩაის ძველი პლანტაციები. ანუ უფრო გარკვევით, რომ ვთქვათ: **რა აგროტეხნიკურ მომსახურებას უწევდა ამ ხნის განმავლობაში ჩაის კულტურას „საქ. ჩაის" გამგეობა?** ამ საკითხზე საკმარისს პასუხს იძლევიან მასალები მე-3 აგროტეხნიკური თათბირისა **ჩაის კულტურის საკითხების შესახებ,** რომელსაც ადგილი ქონდა ამა წლის ნოემბრის 1—6 რიცხვებში ქ. ბათომში. ეს თათბირი მოწვეული იყო „საქ. ჩაის" გამგეობის მიერ. რიცხვით ეს იყო უკვე მეექვსე თათბირი აქ ხნის განმავლობაში. აქც. საზოგადოების „საქ. ჩაის" მიერ მოწვეული მეხუთე თათბირი ჩატარებულ იქნა ამავე წლის ივნისის 12—17 რიცხვებში ქ. ოზურგეთში.

მე არ ვიცი, როგორი იყო მოწყობილი ან რა შედეგი მოყვა წინანდელ თათბირებს. მე შემიძლია მასალების მიხედვით კონკრეტულად ვიმსჯელო მხოლოდ მეექვსე თათბირზე. ჩემ განკარგულებაში იყო ამ თათბირის სტენოგრაფიული ანგარიში. მართალია ყველა ის საკითხები, რომლებიც ბათომის თათბირზე იყო დასმული, ეხებოდენ ჩაის კულტურის ვიწრო-სპეციალურ მხარეებს და, როგორც ასეთები, ისინი უპირველეს ყოვლისა საინტერესონი იყვნენ ჩაის სპეციალისტებისა და მუშაკებისათვის. მაგრამ ის საკითხები, რომლებიც განხილულ იქნენ უკანასკნელ აგროტეხნიკურ თათბირზედ, უაღრესად საინტერესონი არიან აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობისათვისაც. სამწუხაროდ ეს უკანასკნელი სრულებით არაა გაცნობილი ამ საქმესთან. და ეს იმიტომ, რომ პრესა სრულებით არ აშუქებდა თათბირის მუშაობას, რაც არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

უნდა ვიფიქროთ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოაქვეყნებენ ცალკე ბროშურებად თათბირზე მიღებულ რეზოლიუციებს. ერთი ვიკითხოთ: ვის ესაჭიროება ეს მშრალი რეზოლიუციები, ან ვინ წაიკითხავს იმათ! განა ეს რეზოლიუციები ოდნავ მაინც გამოხატავენ იმას, რასაც ადგილი ქონდა თვით თათბირზე და რაზედაც სწორედ აუცილებლად საჭიროა ყურადღების მიქცევა? ოდნავაც არ გამოხატავენ. ამისათვის საჭიროა თათბირის მუშაობის გაცნობა. ეს ჩვენ დაგვანახვებს, თუ რა კეთდებოდა აქამდის ჩაის კულტურის გასაუმჯობესებლად ჩვენში.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს და აქედან, როგორია ჩაის კულტურის განვითარების პერსპექტივები ახლო მომავალში? გადავდივარ თვით თათბირის მასალებზე.

ამ მასალების გაცნობა გვეუბნება, რომ მეექვსე თათბირი, რომელსაც მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდენ, **სრულებით არ ყოფილა მომზადებული.** შეიძლება ითქვას, რომ თათბირისათვის მოსამზადებელი მუშაობა ან სრულებით არ ჩატარებულა, ან ჩატარებულ იქაა ძლიერ სუსტად. თითქმის არც ერთი მოხსენება **წარდგენილი თათბირზე, მეცნიერულად დასაბუთებული არ ყოფილა,** ე. ი. არ ყოფილა დაყრდნობილი მეცნიერულ დაკვირვებებზე და ცდებზე. ამიტომაც იყო, რომ თითქმის ყველა მოხსენების შემდეგ თათბირი მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა კვლავ იქნას დამატებითი კვლევა, ცდები და დაკვირვებების მოხდენა. ამავე დროს, რომელი საკითხიც არ უნდა აიღოთ ჩაის კულტურის შესახებ, არც ერთი იმათგანის შესახებ ჩვენ არ გვაქვს გარკვეული ხაზი, არ ვიცით, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ მეტად რთული კულტურის განვითარების საქმეში. თითქმის მასალები იძლევიან ამ მხრით თვითგამომჟღავნების აუარებელ ფაქტებს, რომლებიც ნათელყოფენ „საქ. ჩაის" გამგეობის **უპეთურობას, უთაობას, დანაშაულებრივ დაუდევრობას და უმოქმედობას.**

მართალია ჩვენ ამ ბოლო დროს უკვე ვამჩნევდით, რომ „საქ. ჩაის" სააქციონერო საზოგადოებაში საქმე კარგად არ იყო დაყენებული, მაგრამ თუ ისეთი ცუდი მდგომარეობა იყო იქ ჩამოყალიბებული, როგორც ეს გადაიშალა თვით თათბირზე. მე ეს არ ვიცოდი. რა თქმა უნდა, ამაში ყველას თითოეულ ჩვენგანს მიუძღვის დანაშაული; ახლა აშკარაოდ ვხედავთ, რომ ჩაის კულტურის საქმე **ნამდვილად თვითდინებაზე იყო მიშვებული.** ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით „საქ. ჩაის" საზოგადოებაზე.

აბა მოუსმინეთ, რას ამბობდა ამხ. ა. კაჭარავა („საქ. ჩაის" ყოფილი თ-რე) თავის მოხსენებაში თათბირზე. ამხანაგებო — განაცხადა მან,— რამდენადაც ჩვენ ვერ შევძელით შეგვექნა ჩაის კულტურისათვის მეცნიერული საფუძველი, ჩაის კულტურის განვითარება მიმდინარეობდა ისე, რომ მას არ ქონებია მტკიცე, ნათელი აგრო - ტეხნიკური საყრდენი. გარდა იმისა, რომ თვით „საქ. ჩაი"-ს ორგანიზაცია, ცალკეულის სექტორებით მუშაობდენ, ამ მხრივ სუსტათ; ჩვენ სამეცნიერო საცდელ ორგანიზაციასაც მიუძღვის განსაზღვრული პასუხისმგებლობა პლანტაციების დღევანდელი მდგომარეობისათვისო".

ამხ. კაჭარავა, როგორც ხედავთ ლაპარაკობს მეტისმეტ რბილად; მეტად გაუბედავი ენით. შემდეგ იგი განაგრძობს ასე: „უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძლიერ გვიან ვიბრუნეთ პირი წარმოებისაკენ იმის გამო, რომ არ იყო **აგრო - ტეხნიკური საყრდენი,** ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დეფექტებისა. მე იმათ დავასახელებ. პირველი საკითხი — ეს საჩაიე მასივების მიწების გამონახვა. ამ საკითხში ჩვენ გვაქვს **დიდი შეცდომები** (ხაზს ყოველგან მე უსვამ ფ. მ.). ჩაის კულტურის გასაშენებლად ადგილის გამორჩევა ბევრ შემთხვევაში **ხდებოდა უპასუხისმგებლოდ.** ბევრ ადგილას ჩაის პლანტაციები გაშენებულია ისეთ მიწებზე, სადაც ჩაის ბუჩქს არ შეუძლია გაიზარდოს, სადაც ჩაის ბუჩქი დაიღუპებაო"..

შემდეგი საკითხი ეხება მელიორაციას. დღემდე ეს საკითხი არ იქნა ყურადღების ცენტრში. თუ განიხილავთ აქაც საზოგადოების „საქ. ჩაის" ბიუჯეტს, თქვენ დაინახავთ, რომ აქ საქმისათვის სრულებით არავითარი თანხა არ ყოფილა გათვალისწინებული...... „მე პირადად — უმატებს ამხ. კაჭარავა, ვერ ვპოულობ გასამართლებელ საბუთს, თუ რისთვის დავივიწყეთ ჩვენ ეს დიდი საკითხიო"....

მესამე საკითხი — ეს არის ნიადაგის დამუშავების მეთოდები.

„ბევრ ადგილას — განაცხადა ამხ. კაჭარავამ — ჩვენ მოვახდინეთ მთლიანი გადაბარვა **და არავითარი ღონისძიება არ გვიხმარია ნიადაგის ჩამორეცხვისაგან დასაცავად. ეს ფაქტია.** არის უკვე მასიური ფაქტები ნიადაგის ჩამორეცხვისა, ჩვენ ის (ნიადაგი) უკვე დავღუპეთ. **დიდი შეცდომაა დაშვებული ამხანაგებო და მე ეს მიმაჩნია ჩვენ დაუდევრობად საქმისადმი"....**

მხოლოდ დაუდევრობად? არა, ამხ. კაჭარავა, ამას ჩვენ ენაზე **დანაშაული** ეწოდება.

შემდეგ ამხ. კაჭარავა ეხება ნიადაგის დამუშავებას **ტრაქტორებით.** აქ იგი ასეთ საკითხებს აყენებს: „რამდენად სწორად ვაწარმოებთ ჩვენ ხვნას ტრაქტორებით; რამდენად შეგუებულია ეს გუთნები ნიადაგის დასამუშავებლად და რამდენად გვაკმაყოფილებს ჩვენ ტრაქტორით დამუშავება საჩაიე მიწებისო" და თითონვე იძლევა პასუხს: „თათბირი ერთხმად გამოიტანს დადგენილებას, რომ **დღემდის ტრაქტორების მუშაობა დაწესებული უნდა იქნასო"...**

შემდეგი საკითხი **ქარიდან ჩაის პლანტაციების დაცვის** საკითხი: „მე შეიძლება მიპასუხონო — განაცხადა ამხ. კაჭარავამ, — რომ წინედ არ იცოდენ, რომ ჩაის ბუჩქს აფუჭებს ქარი, სიცივე და სხვა. ეს არაა მართალი, ამხანაგებო.... ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვცნათ ის ფაქტი, რომ საბჭოთა მეურნეობათა სექტორში ჩვენ გავწმინდეთ ტერიტორია ისე, რომ ერთი ხეც აღარ დარჩენილა *). ამას შედეგად მოყვა სრულებით გატიტვლებული ადგილები, სადაც ჩაის კულტურა საფრთხეში ჩავარდა.. მანამ კი ახალი გაშენებული ხეები გაიზრდებიან, ქარისაგან დაიღუპება ჩაის დიდძალი კულტურა"-ო... აი თურმე როგორ მუშაობდა ა.-ს — „საქ. ჩაი".

შემდეგი საყურადღებო საკითხი, რომელსაც შეეხო ამხ. კაჭარავა თავის მოხსენებაში, მდგომარეობს შემდეგში. როგორი წესით უნდა იქ ნას გაშენებული ჩაის პლანტაცია: **თესლის ჩაყრით მუდმივ ადგილზე,** თუ **სანერგეების საშუალებით,** ე. ი. გადარგვით. ამ საკითხის ირგვლივ, როგორც განაცხადა ამხ. კაჭარავამ, იყო ბევრი დავა, **ახლაც ჩვენ ვაწარმოებთ დისკუსიას შესახებ იმისა, შეიძლება თუ არა ჩაის კულ-**

შუალებით. იმის მაგიერ, რომ „საქართველოს ჩაის" სპეციალისტებს და აგრონომებს უკვე აქამდე გა- **ტურის გაშენება სანერგეების სა-** მოეკვლიათ საბოლოოდ, თუ რომელი წესით უნდა გაშენდეს ჩაის პლანტაციები, ისინი დაუსრულებელ დისკუსიას აწარმოებენ: არა ეს ჯობია, არა ასეო. პარტიის და ხელისუფლების გადაუდებელი ამოცანაა — ხუთი წლის განმავლობაში ჩაი უნდა იქნას გაშენებული **100.000 ჰექტარზე.** ესენი კი დისკუსიას აწარმოებენ. როგორც სჩანს, იმათ შეუძლიათ დისკუსიის წარმოება დაუსრულებლივ. მაგრამ ჩვენ ამისათვის არ გვცალია და უბედურებაც იმაშია, რომ „საქ. ჩაის" გამგეობაში აქამდის არ აღმოჩნდა ისეთი პირი, რომელსაც გადაჭრით დაეყენებია საკითხი სწორედ ასე.

ამნაირად, თქვენ ხედავთ, რომ არცერთი ძირითადი საკითხი ჩაის კულტურის განვითარებისა ჩვენში დღემდის გადაჭრილი არაა. ჩაის მოხელეებმა, სპეციალისტებმა და აგრონომებმა დღემდისაც გადაჭრით არ იციან, როგორ გააშენონ ჩაი, როგორ დაბარონ ნიადაგი, როგორ მოუარონ ჩაის ბუჩქს და სხვ. და სხვ.

ერთი ვიკითხოთ: რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში „საქ. ჩაი"? ცნობილია, რომ ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია იქნა გაშენებული. მე ვეკითხები მათ; თუ მათ არ იცოდენ, როგორ უნდა გაეშენებიათ, რა უფლება ქონდათ ეწარმოებიათ მათ ეს საქმე? და როგორც ჩვენ ქვევით დავინახეთ, დიდი ნაწილი ამ პლანტაციებისა უვარგისად არის გაშენებული. ეს უდრის მავნებლობას, შეგნებულს, თუ შეუგნებელს, — ეს საქმისათვის სულ ერთია. ამხ. კაჭარავამ ჩაის სპეციალისტებს და აგრონომებს თავის მოხსენებაში წაუყენა არსებითად უსასტიკეს ბრალდებათა მთელი რიგი. მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ხალხი გამოვიდოდა ან თავიანთ დანაშაულთა ღიარებით ან თავის მართლებით. მაინც, არაფერი ამის მსგავსი. ჩაის მოხელეებმა და სპეციალისტებმა ამას სრულიად გვერდი აუარეს, და პირიქით, თავიანთ გამოსვლებში თათბირზე მოგვცეს კიდევ მეტი მასალა ამათ გასამტყუნებლად, მაგრამ ეს ისეთი კილოთი, რომ ყოველივე ეს თითქო ასე უნდა იყოსო — (Все это в парядке вещей) ერთი სიტყვით, ასეთი წესი, უფრო მართალი რომ ვთქვათ, უწესოება, მათთვის ჩვეულებრივი გამხდარა. როგორც სჩანს, ისინი ვერც კი გრძნობენ, რომ დანაშაულს ჩადიან.

საჭიროა აქ რამდენიმედ მაინც გავეცნოთ ზოგიერთ სპეციალისტების გამოსვლებს თვით თათბირზე.

პირველი მოხსენება ეხებოდა ჩაისთვის ნიადაგის მომზადების საკითხს. მომხსენებელმა (ამხ. ხაპავა) წამოაყენა შემდეგი სწორი და შეურყეველი თეზისი: ჩაის პლანტაციის ხანგრძლივობა და მოსავლიანობა დიდათ არის დამოკიდებული ნიადაგის პირველი დამუშავების სწორი მეთოდისაგან. თუ თავშივე პლანტაციის დამუშავების დროს იქნა დაშვებული შეცდომა, ის რჩება გამოუსწორებელი, სანამ პლანტაცია იარსებებს; და ამიტომ საკითხი ნიადაგის დამუშავების შესახებ უაღრესად საყურადღებო ხდება. მომხსენებელი მომხრეა ნიადაგის **ღრმა გადაბარვის ან მოხვნის (45 სანტ.)** და ფერდობ ადგილებზე **ტრანშეის მეთოდის.** თათბირი ამ საკითხების განხილვის დროს ორ ბანაკად გაიყო: ზოგიერთები (ვიქტოროვი, პროფ. ტიმოფეევი და სხვ.) მომხრენი იყვენ ღრმა გადაბარვის, სხვები კი (პროფ. კვარაცხელია, ხოპერია და სხვ.) არა ღრმა გადაბარვის. საკითხი დასმული იყო ასე: სპეციალისტიც რომ არ იყო, ყველა ცოტად თუ ბევრად ფხიზელი ადამიანისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ყველგან ერთი და იგივე ნიადაგი როდია, ამიტომ ზოგან შედარებით უფრო ღრმად უნდა გადაიბაროს, ზოგან კი შედარებით არა ღრმად. ამიტომ ყველა ხარისხის ნიადაგისათვის ერთი და იგივე რეცეპტის მიცემა — ეს პირდაპირ უგუნურება იქნებოდა. და ეს ჭეშმარიტება აქამდის ვერ შეუგნიათ ჩაის სპეციალისტებს ჩვენში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს თხოულობს დიდ მუშაობის ჩატარებას, ეს თხოულობს სისტემატიურ ცდების მოწყობას სხვადასხვა ადგილას, ეს თხოულობს ნიადაგის გამოკვლევას და შესწავლას სხვადასხვა რაიონებში. აი როგორ უნდა დაეყენებიათ საკითხი და არა ასე: ან ღრმა, — ან არა ღრმა.

ჩემი ყურადღება მიიპყრო, როგორც ამ საკითხის, ისე ყველა საკითხების **გადაჭრის მეთოდმა.** კამათის დროს ერთ-ერთმა ორატორმა (ამხ. ვიქტოროვმა), სხვათა შორის განაცხადა: „მე ნიადაგის ღრმა დამუშავების მომხრე ვარ. წინედ ეს სიღრმე განიზომებოდა 12 გოჯით (ვერშოკით), შემდეგ აქვე, ბათომში, ჩვენ **ხმა მივეცით** 8 ვერშოკის სასარგებლოდ და ბოლოს, ჩვენ გავჩერდით 10 ვერშოკზე ანუ 45 სანტ. სწორედ ამაზეა ნათქვამი: ასე ჩემო მანასეო, ხან ისე, და ხან ასეო. და ასე სულ რაღაც 1-1½ წლის განმავლობაში. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თუ ჩვენ ახლავე არ შევცვალეთ ასეთი აბდაუბდობა და მალაყიბის კეთება, რამდენიმე თვის შემდეგ **კენჭის ყრით** კვლავ რაიმე სხვა ნორმას მიიღებენ და მერე მოდით და შეეცადეთ ამ უთავბოლობაში რაიმე თადარიგის შეტანას. გარდა ამისა, მე ვერ გამიგია, ასეთი მეცნიერული ხასიათის კითხვების კენჭის ყრით, ხმის უმეტესობით გადაჭრა და ისიც ასეთ ფართო თათბირებზე. ხმების რიცხვი დღეს ერთი იქნება, ხვალ მეორე და განა ამაზე დაყრდნობით შეიძლება აგრო - ტეხნიკური საკითხის სწორე გადაჭრა? ვფიქრობ, რომ არა.

ნიადაგის დამუშავებასთან დაკავშირებით, კამათის დროს წამოიჭრა **ტრანშეების მეთოდით** ჩაის პლანტაციების გაშენების ვარგისიანობის შეფასება. ამის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, მე უნდა მოვიყვანო აქ ორი სპეციალისტის (ტიმოფეევის და ვიქტოროვის) განცხადებები. ამხ. ვიქტოროვმა, სხვათაშორის, აი რა განაცხადა ამის შესახებ: „თითოეულ აქ დამსწრეთაგანმა ძალიან კარგად იცის, რომ იმ პლანტაციებში, რომლებიც გაშენებულ იქნენ ტრანშეების მეთოდით, **გავლა არ შეუძლია არა თუ მაშინას, არამედ იქ კაციც კი ძლივს გაივლისო".** მეორე მხრით, პროფ. ტიმოფეევმა აი რა თქვა თათბირზე: „შემდეგ, ტრანშეების მეთოდი, მეთოდი, **რომლის გამო უკვე მთელი წელიწადია, რაც ბრძოლა სწარმოებს,** მოხსენებიდან არ სჩანს, იყო თუ არა რაიმე დაკვირვებები ტრანშეებზე, რომლებიც შარშან იქნენ ჩაყრილი; ადგილი ქონდა თუ არა იქ დაგუბებას (Застаивание,) **გამართლდა თუ არა ის შიში, რომ ტრანშეების იმ სისტემის გატარებით, რომელიც ჩვენშია მიღებული, გარეული ბალახი დაგვძლევს.** შემდეგ მე მიმაჩნია, რომ ტრანშეების იმ მეთოდით გატარება, რომელიც ახლა **შემოღებულია, მექანიზაცია შეუძლებელია.** ამ მხრით მე **ვეთანხმები ამხ. ვიქტოროვსო".**

ამ განცხადებებმა მე ღრმად დამაფიქრეს. რაშია საქმე? უპირველეს ყოვლისა, ამხ. ვიქტოროვის განცხადებიდან აშკარად სჩანს, რომ იგი არსებითად წინააღმდეგია ტრანშეების მეთოდის. იქ, სადაც ტრანშეებია არ თუ მაშინა, კაციც ძლივს გაივლისო. მაშასადამე, ვიქტოროვის აზრით, ტრანშეების სისტემა **უარყოფს ჩაის საქმის მექანიზაციას.** ამიტომ აშკარაა ტრანშეების სისტემა უნდა უარყოფილ იქნას. ვიქტოროვი პირდაპირ აყენებს საკითხს. მაგრამ ასე არ იქცევა პროფ. ტიმოფეევი. იგი ჯერ სხვა მხრიდან უდგება საკითხს. პროფ. ტიმოფეევი შეკითხვების მეთოდით ცდილობს ტრანშეების სისტემის გაბიაბრუებას და გაწბილებას. იგი კითხულობს, მოხდა თუ არა იქ წყლის დაგუბება, გამართლდა თუ არა მისი წინასწარმეტყველება, რომ იქ, სადაც ტრანშეები იქნენ შეყვანილი გარეულმა ბალახმა სძლია ჩაის ბუჩქებს. რაც შეეხება პროფ. ტიმოფეევის პირველ შიშს წყლის დაგუბების შესახებ ტრანშეებში, ეს რამდენადაც მე ვიცი, არ გამართლდა.

ხოლო მისი მეოთხე წინასწარმეტყველების შესახებ მე შემიძლია პროფ. ტიმოფეევი გავახარო. ეს წინასწარმეტყველება თითქმის სავსებით გამართლდა. მაგრამ მერე რა? თუ თქვენ გგონიათ პროფ. ტიმოფეევო, რომ ეს ტრანშეების ბრალია, აბა გადახედეთ ჩაის პლანტაციებს ძველს და ახალს, სულ ერთია, და თქვენ თქვენივე თვალით დაინახავთ, თუ გარეულ ბალახს, გვიმრას და სხვას, როგორ დაუძლევია ჩაის ბუჩქები. იცით თუ არა თქვენ, რომ ამ პლანტაციებში ზოგ ადგილას ჩაის ბუჩქები სრულებით დამალულია ბალახში? იქ ხომ ტრანშეები არაა, რომ ეს მათ მივაწეროთ? ერთი სიტყვით, ტრანშეების სისტემა აქ არაფერ შუაშია. მაშ, რაშია საქმე? იკითხავთ თქვენ. საქმე იმაშია, რომ „საქ. ჩაის" თითქმის ყველა სპეციალისტები (და ალბად ვიქტოროვიც და ტიმოფეევიც იმათ რიცხვში) წინააღმდეგნი იყვნენ ტრანშეების სისტემისა, რომელზედაც პირველად ინგლისელმა სპეციალისტებმა (ბაჩერმა და მანმა) მიუთითეს ჩვენ სპეციალისტებს. ეს ხალხი ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქნა ეცნო ეს მეთოდი, რადგანაც ამ სისტემის სასარგებლოთ ლაპარაკობდა, როგორც ლოღიკა, ისე სინამდვილე. მაგრამ, როგორც ჩანს, ტიმოფეევის და ვიქტოროვის ზევით მოყვანილ განცხადებებიდან, ისინი არსებითად, დღესაც წინააღმდეგნი არიან ამ მეთოდის, დღესაც ისინი თუ აშკარად არა, ფარულად მაინც განაგრძობენ ტრანშეების წინააღმდეგ ბრძოლას, აი, რა არის აქ სამწუხარო. ვიქტოროვის და სხვების საყურადღებოდ მეტი არ იქნება განვაცხადო აქ შემდეგი: ამას წინად მე განგებ დავათვალიერე ტრანშეები ჩაქვის მეურნეობაში. და არც ჩემთვის და არც სხვებისთვის იქ გავლა არაფერს არ დაუშლია, პირიქით, ტრანშეები ბევრად უფრო მოხერხებულია გავლისათვის, არც მანქანას გაუჭირდება იქ გავლა, თუ ამ გარემოებას წინდაწინვე გაითვალისწინებენ. მაგრამ ვიქტოროვის და ტიმოფეევის განცხადებების შემდეგ მე რაღაც ეჭვი მებადება. ყოველივე კარგი საქმე შეიძლება გაფუჭდეს. ასევე ითქმის ტრანშეების შესახებაც. თუ ის სპეციალისტები და აგრონომიბი, რომლებიც მოწოდებული არიან ეს სისტემა გაატარონ, მოინდომებენ მის გაწბილებას, აქაო, პირველად ეს ჩვენ უცხოეთის სპეციალისტებმა გვირჩიესო, მაშინ სულ სხვა გამოვა: ამ ტრანშეებში ვერც კაცი გაივლის და ვერც მანქანა. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამიერიდან ამის უფლებას ჩვენ არავის მივსცემთ.

(დასასრული ხვალ).

---

*) აქ ლაპარაკია ტყეების გაჩეხვაზე ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. უნდა განვაცხადო აქ, რომ ასე პირწმინდათ ტყეების განადგურება უდიდეს უბედურებას წარმოადგენს ყოველი მხრით. გასაკვირველია მხოლოდ ის, რომ ეს ჭეშმარიტება ბევრს დღემდის ვერ შეუგნია. ასეთ უარყოფით შეხედულებას ტყეზე წარმოიდგინეთ, პრესაშიაც კი აქვს ადგილი. ამის დასამტკიცებლად, მე შემიძლია მივუთითო თუნდაც ამა წლ. გაზ. „კომუნისტ"-ში ამხ. **ა. მჟონიას და ხუციშვილის** მიერ მოთავსებულ წერილებზე, სადაც ტყეები მიჩნეულია ხალხისათვის, როგორც ერთი დიდი უბედურება, რომლისაგან მან როგორმე თავი უნდა იხსნას! რა უნდა ეწოდოს ამას!

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გაზეთ „კომუნისტი"-ს უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას:

1928 წელში, მოსკოვის ჟურ. „ბოლშევიკში" (№ 17—18) და შემდეგ კი „საქ. ეკონომისტის" ფურცლებზე 1928 და 1929 წლებში (ქართულად და რუსულად) დაიბეჭდა ჩემი წერილები გარდამავალი ეკონომიკის შესახებ. ამ წერილებში დაშვებულ იყო ჩემს მიერ ზოგიერთი მექანისტური ხასიათის თეორიული შეცდომები, რომელთაგან მთავარია: 1) პოლიტიკური ეკონომიის საგნის შეზღუდვა მარტო კაპიტალისტური წარმოების კანონების შესწავლით, 2) ამხ. ბუხარინის ორ-სექტორიანი სქემის მიღება ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, 3) გარდამავალი მეურნეობის განსაზღვრა, როგორც დეფეტიშიზაციის პროცესის, იმავე წერილებში არ იყო გამახვილებული ყურადღება გარდამავალ პერიოდში კლასიური ბრძოლის საკითხისადმი.

ამხ. ლენინის კრებულის გამოცემამ (წიგნი 11) 1929 წ. და შემდეგ კი ამხ. სტალინის გამოსვლამ აგრარნიკ-მარქსისტების კონფერენციაზე, გამოიწვია გარდატეხა ეკონომიურ აზროვნებაში და ლიტერატურაში. ზემოთ აღნიშნული შეცდომები ჩემთვის ნათელი გახდა იმავე პერიოდში. ჯერ კიდევ 1929 წ. შევუდექი ჩემი წერილების რადიკალურ გადამუშავებას და შეცდომების გასწორებას და კრიტიკას. პირველი თავები გადამუშავებული წერილებისა დაიბეჭდა 1930 წ. ჟურ. „ახალგ. ბოლშევიკის" პირველ ნომერში. მაგრამ ეს გადამუშავება ჩემს მიერ დასრულებული არ იყო პრაქტიკულ მუშაობამ და შემდეგ კი საზღვარგარედ გამგზავრებამ შესწყვიტა ეს ჩემი მუშაობა.

მართალია, ჩვენ აღნიშნული შემცდარი შეხედულებები ჟურნალ-გაზეთებში არ გაგვიმეორებია, ხოლო პედაგოგიურ მუშაობაში და მოხსენებებში ვანვითარებდით სწორ შეხედულებებს, ვიძლეოდით რა აღნიშნული შეცდომების კრიტიკას, მაგრამ ამ შეცდომების შესახებ პრესაში არ იყო განცხადებული. აქედან ბუნებრივი იყო ზოგიერთი ამხანაგების მხრივ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ ამ ძველ შეცდომებს ვიცავთ ეხლაც. ამიტომ ჩვენ ვთვლით ჩვენს პარტიულ მოვალეობათ ამის შესახებ პრესაშიც გულახდილად განვაცხადოთ.

1930 წ. დასაწყისიდან გაჩაღებულ იქმნა ტფილისში აქტიური მუშაობა ანტი-მარქსისტულ, ანტილენინურ ეკონომიურ მიმდინარეობათა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამახინჯებათა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ჩემთან ერთად მხურვალე მონაწილეობა მიიღო იმ ეკონომისტების ჯგუფმა, რომელიც ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტში მუშაობდა და მუშაობს. ჩვენს მიერ მოწყობილ იქნა ამიერ-კავკასიის კომუნივერსიტეტში 1930 წ. იანვარში მოხსენება აგრარნიკ-მარქსისტების კონფერენციის შედეგების შესახებ, სადაც მკაცრად დაისვა საკითხი მებრძოლი მარქსიზმ-ლენინიზმის შესახებ ჩვენს პირობებში იმავე უნივერსიტეტში მოწყობილ იქმნა კრიტიკული განხილვა გეხტმანის შრომის. ამის შემდეგ სახ. უნივერსიტეტის პოლიტ. ეკონომიის კათედრის ღია სხდომებზე მოწყობილ იქმნა დისკუსია ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ, რის შედეგათ ჩვენ გვაქვს სპეციალური რეზოლიუცია (პირველი ამ.-კავკასიაში), რომელიც დაიბეჭდა პრესაში და რომელშიაც გამახვილებულია ყურადღება ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხისადმი ეკონომიურ თეორიაში. იქავე მოწყობილ იქმნა მოხსენება ამხ. ბუხარინის შრომის დანახარჯების კანონის შესახებ და კოლექტივიზაციის თეორიულ საკითხებზე.

შემოდგომაზე კვლავ გაჩაღებული იქმნა დაწყებული ბრძოლა. პირველად მოწყობილ იქმნა ამ.-კავკასიის უნივერსიტეტში საჯარო მოხსენება კონდრატიევშჩინის შესახებ, შემდეგ, კი ეკონ. გამოკვლევათა ინსტიტუტში.

ამას გარდა ჩემს მიერ დაწერილ იქმნა მთელი რიგი წერილებისა ჟურნალ-გაზეთებში (ქართულ და რუსულ ენებზე) მემარჯვენე ოპორტუნიზმის, „მემარცხენე" გადახრების და კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის წინააღმდეგ. საზღვარგარედ მივლინებამ შეაჩერა ჩემი ამ ბრძოლაში მონაწილეობა. უკან დაბრუნებისას კი ჩვენ ხელ-ახლა მოვკიდეთ ხელი ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებას.

მიუხედავად ამ ბრძოლისა, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ჩვენ ჯერაც არა გვაქვს თეორიულ ფრონტზე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ჩვენ დიდად ჩამოვრჩით საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ცენტრებს. ჯერ კიდევ ვერ მოხდა ჯეროვანი გარდატეხა ჩვენს მუშაობაში. ბევრი რამ ინერციის ძალით და დამპალი ლიბერალიზმის უეჭველი არსებობით ჩვენში კვლავ გრძელდებოდა. ასე, მაგალითად, 1930 წ. დასაწყისში გამოიცა ლეონტიევის და ხმელნიცკაიას წიგნაკი „საბჭოთა ეკონომიკა" ჩემი წინასიტყვაობით. ამ წინასიტყვაობაში სწორი შეხედულება არის გატარებული პოლიტ. ეკონომიის საგნის შესახებ (რომელშიაც მე 1928 წ. შეცდომა დავუშვი) და მიცემული აქვს მკითხველს მითითება კრიტიკულად მოეპყრას ამ წიგნაკს. მაგრამ, იქ არ არის მოცემული ავტორების ოპორტუნისტულ ხასიათის შეცდომების გაშლილი კრიტიკა. იმავე წელში დაიბეჭდა სახ. უნივერსიტეტის ლითოგრაფიაში პოლიტ. ეკონომიის 1928-29 წლ. პროგრამა 1929-30 წლის სასწავლო წლისათვის, მას ახასიათებს საერთო ნაკლი მაშინდელი პროგრამებისა, მაგრამ მაშინაც გადაუმუშავებელი სახით არ უნდა დაბეჭდილიყო. თავის თავად ცხადია, 1930-31 სასწავლო წლიდან, როდესაც მე ამ.-კავ. უნივერსიტეტის ეკონ. კათედრის ხელმძღვანელად ვიყავი, შედგენილ იქმნა სულ სხვა სახის პროგრამა და ასევე უნდა მოქცეულიყვნენ ის ინსტიტუტებიც, რომელნიც სახ. უნივერსიტეტის საფუძველზე წარმოიშვნენ.

აქვე საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი: 1930 წელში საფ.-კოოპერატიული ინსტიტუტის მიერ გამოცემულ იქმნა ჩემი წიგნი „სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პრობლემები". როგორც წიგნის სათაურიდან სჩანს, აქ განხილულია სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ცალკე პრობლემები. თვით წიგნი არ წარმოადგენს სახელმძღვანელოს, არამედ კრებულს წერილებისას, დაწერილს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საკითხებზე. აქედან გამომდინარიობს წიგნის მნიშვნელოვანი ნაკლი არ არის სპეციალური თავი სოფლად კლასიური ბრძოლის შესახებ, თუმცა ის საკითხი სხვადასხვა ადგილას გაშუქებულია. თავში სოფლის მეურნეობის არაკაპიტალისტური ევოლიუციის შესახებ, რომელიც ტროცკისტების და ესერების წინააღმდეგაა მიმართული, არ არის განხილული საკითხი გლეხობის განვითარების მეორე (კაპიტალისტური) გზის შესაძლებლობის შესახებ. ამ საკითხზე ჩვენ მიერ სწორი ლენინური შეხედულებები იყო განვითარებული (მოყვანილი იყო სათანადო ციტატებიც ლენინიდან). წერილში მენშევიკ გრ. ლორთქიფანიძის წინააღმდეგ (გაზ. „ზარია ვოსტოკა" და „კომუნისტი" 1928 წ. ოქტომბერი) და აგრეთვე წერილში „მეტი ყურადღება თეორეტიულ ფრონტს" („კომუნისტი". 1929 წ. სექტემბერი). ამ წერილების იმავე სახით შეტანა კრებულში შეუძლებელი იყო. გადამუშავებისათვის კი. ან ახალი წერილების დაწერისათვის საკმაო დრო არ გვქონდა, რაც, რა თქმა უნდა. ოდნავათაც არ ხსნის ჩემგან პასუხისმგებლობას ამ საკითხში. წიგნში არ არის თავი საბჭოთა მეურნეობების შესახებ, თავი კოლმეურნეობათა ფორმების შესახებ, დაძველებულია ფაქტიური მასალაც. ზოგიერთ თავებში ადგილი აქვს ცალკე ოპორტუნისტულ შემცდარ ფორმულიროვკებს, ბუნდოვანად და არა ნათლად გამოხატულ აზრებს, რაც სამართლიანად იწვევს ამხანაგების კრიტიკას. მე-50 გვერდზე სწერია: „ტრაქტორი წარმოადგენს სოფლის შრომის პროცესების განსაზოგადოების ტეხნიკურ ბაზას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბაზას". სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია განმარტებულია ჩვენს მიერ არა მარტო როგორც ტეხნიკური პრობლემა, არამედ როგორც სოციალური პრობლემაც, როგორც მათი ორგანიული კავშირი. მაგრამ მოყვანილი ციტატა არ არის დამაკმაყოფილებელი და მაშასადამე ის შეცდომაა, რადგან იქ არ არის განმარტებული საკითხი კოლმეურნეობის შესაძლებლობის შესახებ გლეხური ინვენტარის მარტივი გაერთიანების საფუძველზეც. მე-55 გვერდზე (იმ თავში, სადაც ლაპარაკია ტრაქტორების რაზმების მნიშვნელობის შესახებ) ნათქვამია, რომ ამდენ ხანს კოლექტივიზაცია „ხთებოდა ძველ ტეხნიკურ საფუძველზე, რომელსაც არ შეეძლო მოეცა თვალსაჩინო სამეურნეო ეფექტი". ამ აბზაცში ლაპარაკია მარტივ კოლმეურნეობებზე შედარებით იმ კოლმეურნეობებთან, რომელთაც აქვთ მტკიცე ტეხნიკური ბაზა ტრაქტორების რაზმების სახით, რაც იქიდანაც სჩანს, რომ იმავე ტექსტში ნათქვამია მარტივ კოლმეურნეობებზე: „ეს უეჭველად პროგრესიული და უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო" და სხვ. მაგრამ არსად არ არის ნათქვამი, რომ მარტივ კოლმეურნეობებს არ შეეძლოთ მოეცათ მეტი შრომის ნაყოფიერება, ვიდრე კერძო ინდივიდუალურ მეურნეობებს. აღნიშნულ თავებში გამახვილებულია ყურადღება ტრაქტორების რაზმების და სადგურების შექმნის საკითხისადმი, რაც სავსებით შეესაბამება პარტიის დირექტივებს. მაგრამ საკითხი მარტივი კოლმეურნეობათა უპირატესობის შესახებ კერძო ინდივიდუალურ მეურნეობებთან შედარებით არ არის იქ გაშუქებული, რაც უეჭველად პოლიტიკურ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. აქვე აღვნიშნავთ, რომ როდესაც ჩვენ ამ საკითხზე მოგვივიდა სპეციალურად შეჩერება (იხ. „საქ. სოც. მეურნეობა" № 1, გვ. 4) წერილში კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის შესახებ ჩვენ ის სწორად გავაშუქეთ. იმავე წერილში მოცემულია კრიტიკა მენშევიკურ-ტროცკისტულ შეხედულებების „ტეხნიკური დონის" საკითხში.

საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის შეცდომაც, რომელიც ამ უკანასკნელ წერილში არის ჩვენს მიერ დაშვებული. იქ სწორად არის გაშუქებული საკითხი კლასობრივი ბრძოლის ელემენტების შესახებ, რასაც ადგილი აქვს კოლმეურნეობებში. მაგრამ, კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტული კონცეპციის კრიტიკის დროს ჩვენ იქ დავუშვით შეცდომა, რომელიც მოკლეთ მოცემულია შემდეგ ფრაზაში: კოლმეურნემ „უკვე წაშალა თავისი ინდივიდუალისტური წარსული, გასწყვიტა კავშირი გუშინდელ დღესთან და მტკიცეთ დაადგა სოციალისტური მომავლის გზას" (გვ. 10). აზრი, რომელიც ჩვენ გვინდოდა გამოგვეხატა ამ ფრაზაში მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნემ შესწყვიტა არსებობა, როგორც საწარმოო საშუალებათა კერძო მესაკუთრემ, რომ აქ ჩვენ გვაქვს ახალი სოციალური კატეგორია. ეს სჩანს იქიდან, რომ სხვა ადგილას გარკვევით არის ნათქვამი ინდივიდუალისტური ნაშთების არსებობის შესახებ კოლმეურნეობებში და სათანადო ციტატებიც არის მოყვანილი. მართალია, ქვევით აღნიშნულია: „ეს არ ნიშნავს, რომ კოლმეურნე ერთ წამს გადაიქცევა სოციალისტური საზოგადოების მუშაკად" და სხვ., მაგრამ ზემოთმოყვანილ ფრაზაში მაინც მოცემულია კოლმეურნის ოპორტუნისტული იდეალიზაცია, რაც სამართლიანად იქნა აღნიშნული ზოგიერთი ამხანაგების მიერ. იმავე წერილში არ იყო მითითებული მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაზე, რაც, რა თქმა უნდა, ჩემს მიერ არა თუ უარყოფილი, არამედ ხაზგასმული იყო სხვა მრავალ წერილებში. ეს წერილი კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის შესახებ ზოგიერთი დამატებებით და შესწორებებით დაიბეჭდა მატებებით და შესწორებებით გადაბეჭდილ იქნა ჩემს ახლად გამოსულ წიგნაკში „ბურჟ. ეკონომისტები საბჭოთა ეკონომიკის შესახებ", (რომლის ცალკე თავები იბეჭდებოდა გაზ. „კომუნისტში") და გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში (№ 334, 1931 წ.). აღნიშნული შეცდომები იქ უკვე გასწორებულ იქნა ჩემს მიერ.

ამხ. სტალინი თავის წერილში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხებისათვის" მოითხოვს პარტიის ყოველი წევრისაგან მეტ სიფხიზლეს, ყურადღების მეტ გამახვილებას კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის და კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტული კონტრაბანდის. აგრეთვე პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრების, მათდამი შემრიგებლობის და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

ამხ. სტალინის ამ დირექტივის ცხოვრებაში ბოლშევიკური გატარება წარმოადგენს ყოველი პარტიის წევრის მოვალეობას, სულერთია სადაც ის არ უნდა მუშაობდეს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პარტიული მოვალეობის აღსრულებას შევსწირავთ ჩვენ მთელს ენერგიას ჩვენს შემდგომ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობაში.

კომ. სალამით **ქ. ორაგველიძე.**

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

„თეთნულდ" რუსთაველის თეატრში

პიესა შ. დადიანის, დადგმა ს. ახმეტელის და აკ. ვასაძის. მხატვარი—ი. გამრეკელი

სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი ეტაპი გაძლიერებულ მოთხოვნილებას უყენებს თეატრს. თეატრმა უნდა ახსნას ამ ეტაპის ამოცანები. თეატრის ყოველი ნამუშევარი ამ თვალთახედვით უნდა იქნას განხილული. თეატრი ყოველი ახალი დადგმით უნდა ცდილობდეს დაგვანახვოს —თუ რამდენად დაეუფლა იგი ჩვენი მუშაობის ძირითად და ერთად-ერთ მეთოდს— დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდს.

„თეატრის მოვალეობაა — მოემზადოს იმისათვის, რომ შეასრულოს მის წინაშე მდგომი რთული ამოცანები, მოგვცეს მხატვრულ-იდეოლოგიურად სრულყოფილი პროდუქცია, მოგვცეს სანახაობა, რომელიც დაეხმარება სოციალისტურ მშენებლობას, მოგვცეს ტილო, რომელიც შეეფერებოდეს ეპოქას და მის მშენებლებს". (რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს დადგენილებიდან).

აკმაყოფილებს თუ არა ამას რუსთაველის თეატრის უკანასკნელი ნამუშევარი, შ. დადიანის „თეთნულდ"?

უპირველეს ყოვლისა პიესის შესახებ.

„სვანეთს არ აქვს გზა, სვანეთს არ აქვს მარილი, სვანეთს ჩიყვი სჭირს — იწყებს შ დადიანი და გვიხსნის, რომ ყველა ამის მიზეზია თეთნულდი და სხვა მყინვარები, რომლებიც დარაჯად უდგანან ძველ ყოფას და გზას ულობავენ სვანეთს კულტურისაკენ, ამიტომ სვანეთი რომ გამოვიდეს განვითარების ფართო გზაზე, საჭიროა თეთნულდის აღება, იმ ციხე-სიმაგრის შენგრევა, რომელიც აღმართულია ძველსა და ახალ სვანეთს შორის.

ასეთია სიმბოლიურად პიესის დედა-აზრი.

მაგრამ ვინ უნდა აიღოს ეს ციხე-სიმაგრე, თითო-ოროლა ტურისტმა, თუ საბჭოთა ხელისუფლების გეგმა-შეწონილმა და სისტემატიურმა მუშაობამ? „თეთნულდში" უაღრესად მკრთალად სჩანს ის დიდი მუშაობა, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება სვანეთში. იქნებ პიესის სიუჟეტი იშლება არა თანამედროვე სვანეთში, არამედ რევოლიუციის წინადროინდელ სვანეთში! არა, მოქმედება რომ საბჭოთა სვანეთში სწარმოებს, სჩანს იქიდან, რომ პიესაში გამოყვანილია აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც რაღაც გაურკვეველ საბჭოთა კანონებზე ლაპარაკობს და რომლის მთელი მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ კუდში დასდევს თეთნულდზე ასვლის მოსურნე გელახსანს და მიჰყვება მას მყინვარის მწვერვალზე.

„სვანეთს არ აქვს გზა, სვანეთს არ აქვს მარილი, სვანეთს ჩიყვი სჭირს" — მოსთქვამენ შ. დადიანის სვანები. შ. დადიანმა იცის, რომ სვანეთს არ აქვს გზა, მაგრამ დღეს-ხვალ ექნება, ამაზე თავგამოდებით მუშაობს საბჭოთა ხელისუფლება, იცის, რომ სვანეთს აქვს კოოპერაცია, რომელიც აწვდის მას მარილს, იცის რომ საბჭოთა ხელისუფლება სვანეთს უხსნის საავადმყოფოებს და საექიმო პუნქტებს ჩიყვის სამკურნალოდ — მაგრამ ამაზე არაფერია ნათქვამი პიესაში. თითქოს ყველაფერი ეს არ არსებობდეს.

„თეთნულდ"-ში ავტორი ცდილობს დაგვიხატოს სვანეთის ძველი ყოფის გარდაქმნა და ახალი კულტურის დამკვიდრება, მაგრამ ეს გარდაქმნა შედეგია არა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების თანმიმდევარი და დაუღალავი მუშაობისა, არამედ — თეთნულდზე ასვლისა თეთნულდი „წმინდათა წმინდაა", „ღმერთების სავანეა", ის დარაჯად უდგას სვანეთის ძველ ყოფას. თეთნულდზე ასვლა არ შეიძლება. გელახსანი მაინც დააპირებს ასვლას. მას წინააღმდეგობას უწევენ მოხუცები. ამ საფუძველზე მოცემულია ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირება. მათი შეჯახება თავდება გელახსანის იდეის გამარჯვებით. თეთნულდი დაპყრობილია. საუკუნოებრივი ფანატიზმი მარცხდება.

პიესაში ბრძოლა ძველსა და ახალს შორის მოკლებულია კლასობრივ ნიადაგს.

საერთოდ, მთელი პიესა გაშლილია აბსტრაქტულ ხაზებში, არ არის მოვლენების და ფაქტების კონკრეტიზაცია. არ სჩანს პიესაში პარტია და კომკავშირი, მათი როლი სვანეთის ძველი ყოფის გარდაქმნის საქმეში. მომქმედი პირები ფეხქვეშ ვერ გრძნობენ მტკიცე კლასიურ ნიადაგს.

მთლიანად, „თეთნულდი" აპოლიტიკური, ნეიტრალური ნაწარმოებია. მასში ცალმხრივად არის ასახული თანამედროვე სვანეთი. ავტორი ცდილობს გადაგვიშალოს ძველი ნატურალური მეურნეობის დაშლა (პოლიტიკურად შემცდარად არის გაგებული ამ დაშლის მიზეზი), მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ამბობს სვანეთის სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის შესახებ.

ამის და მიხედვით, „თეთნულდი" არა ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს —„ისეთ სანახაობად, რომელიც ეხმარება სოციალისტურ მშენებლობას, ისეთ ტილოდ, რომელიც შეეფერება ეპოქას და მის მშენებლებს".

იმ დროს, როდესაც ჩვენ შეუნელებელ ბრძოლას ვაწარმოებთ ხელოვნების ბოლშევიზაციისათვის, ხელოვნების პარტიულობისათვის, მისი მაღალი იდეურობისათვის — „თეთნულდ"-ისთანა პიესების დადგმა აქტივში ვერ ჩაეთვლება თეატრს. ეს აშკარა უკან დახევაა.

ის ნეიტრალიზმი და აპოლიტიკურობა, რომლითაც გაჟღენთილია პიესა, სჩანს დადგმაშიც. სპექტაკლის ავტორებმა ვერ შესძლეს მკვეთრ კლასიურ ხაზებში მოეცათ ძველი და ახალი სვანეთის ბრძოლა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის აქ გაშლილია ტრადიციული „მამების" და „შვილების" ბრძოლის ფორმაში. ძველი და ახალი სვანეთი მექანიკურად უპირისპირდება სპექტაკლში ერთმანეთს.

რეჟისორულად „თეთნულდი" უეჭველად კარგად არის გაკეთებული. კარგია მასიური სცენები. ს. ახმეტელმა ამ დადგმით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი მასიური სცენების დახელოვნებული ოსტატია.

„თეთნულდის" დადგმაში არის ერთი საინტერესო ხერხი. „თეთნულდი" სცილდება დრამის ფარგლებს. სპექტაკლში არის ცდა ჩვეულებრივი დრამის მუსიკალურ დრამაში გადასვლის გზების მოხაზვისა.

მონუმენტალურია სპექტაკლის დეკორატიული აღნაგობა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი შეუსაბამობა, სტილთა აღრევა. რამდენადაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ სვანური ნატურალური კოშკები, იმდენად მკრთალია შთაბეჭდილება კონსტრუქტიულ თეთნულდისაგან. მაყურებელი ვერ გრძნობს მყინვარის სიდიადეს. აქ დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო თეატრისათვის კინოს.

მთელი სპექტაკლი ზედმიწევნით ზუსტად არის დამუშავებული. სჩანს რეჟისორების ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა. არის მთელი რიგი კარგად მოფიქრებული და მოხდენილად შესრულებული ადგილები (ბავშვების, მოხუცების) სცენა, ლამპრობა, გლოვა). დინამიურობა შეაქვს სპექტაკლში ფერების მიზანშეწონილ კომბინაციას.

დადგმას ახასიათებს ზოგიერთი ნაკლიც. სპექტაკლი დამძიმებულია მისტიკით, მისტიურ განწყობილებას ხელს უწყობს ი. ტუსკიას მუსიკაც. სპექტაკლში არის ნაწილობრივად სვანეთის ძველი ყოფის იდეალიზაციის ელემენტები.

აქტიორული შემოქმედება ამ სპექტაკლში არ სდგას იმ სიმაღლეზე, როგორიც სჩვევია რუსთაველის თეატრს. ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ პიესის გმირების სიყალბეში. ავიღოთ მაგალითისათვის არგიშდი— აკ. ხორავა. მსახიობი ყოველ ღონეს ხმარობს ტრაგიულ სიმაღლეზე აიყვანოს არგიშდის ფიგურა, მაგრამ მისი განცდა ვერ აღწევს მაყურებლამდე, რადგან მაყურებელი გრძნობს გმირის სიყალბეს და გულს არ ხვდება მისი წუხილი

ახალგაზრდობიდან ყურადღებას იპყრობს გ. ჯაჯანაშვილი (გურანდა).

თემატიურად „თეთნლდი" „ლამარა"-ს გაგრძელებაა. თეატრის რეპერტუარში იბრძვის ორი ხაზი: „რღვევა"-ს და „ლამარა"-ს ხაზი.

საჭიროა გაბედული გადასვლა რევოლიუციონურ რეპერტუარზე.

ო. ქ.

ა.-კ. კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლის

დაუსწრებელ სექტორის სტუდენტთა პირველი გამოშვება

20 იანვრიდან 20 თებერვლამდე ამიერ-კავკასიის „26"-ის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელი სექტორი თბილისში აწყობს ა.-კ. კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელი სექტორის სტუდენტთა 28 კაცის პირველ გამოშვებას.

ჯგუფის შემადგენლობა ინტერნაციონალურია, მასში შედიან პარტიის წევრები ამიერ-კავკასიის ყველა კუთხიდან.

ეს გამოშვება საუკეთესოდ ამტკიცებს პარტიის წევრის სისტემატიური პარტსწავლების შესაძლებლობას ისე, რომ იგი არ მოწყდეს უშუალო პრაქტიკულ მუშაობას.

დაუსწრებელი მსმენელთა ეს ჯგუფი ჩაება სოცშეჯიბრებაში და დაკვრითი წესით ემზადება საგამოშვებო კონფერენციისათვის.

ამავე დროს ეწყობა საშედეგო კონფერენცია 1-ლ და მე-2 კურსის დაუსწრებელ მსმენელთათვის —90 კაცისათვის.

საჭიროა, პარტიის რაიკომებმა უზრუნველყონ დაუსწრებელი სექტორის ყველა გამოძახებულ მსმენელთა დასწრება კონფერენციაზე.

კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა ახალი რაზმი ამიერ-კავკასიის რაიონებს მისცემს მარქსისტულ-ლენინურად მომზადებულ მებრძოლთ პარტიის გენერალურ ხაზისათვის, ყველა ჯურის ოპორტუნიზმისა და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

ადგილების განაწილება

საქ. კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებელში

აბაშას—3 ადგილი, აფხაზეთს—3, ალბულალ-მანგლისს—3, აჭარისტანს—6, ადიგენს ამბროლაურს—3, ახალქალაქს—, ახალციხეს, ბაღდადს — 2, ბორჯომს—3 ადგილი, ვანს—2, გარე-კახეთს—2, გორს—5, გურჯაანს—4, დუშეთს—3, ზემო-სვანეთს —5, ზესტაფონს—8, ზუგდიდს—8, კასპს—3, ყვარელს—3, ქვ. სვანეთს—6, ქუთაისს—15, ლაგოდეხს—8, ლიუქსემბურგს—1, მარტვილს—4, მცხეთას—2, ოზურგეთს—6, ონს—3, ფოთს—4, სამტრედიას—5, სენაკს—3, სიღნაღს—8, სტალინის—8, თელავს—8, თბილისს—37, ტყიბულს—7, ხევს—3, ხონს—3, ხარაგოულს—3, ხობს—2, ცაგერს—3, ჭიათურას—10, ჩოხატაურს—3, ჩხოროწყუს—3, თიანეთს—3, სამხრეთ-ოსეთს—3, ლანჩხუთს—3, და არმიას—10.

ქრონიკა

20.000 მანეთი სოფლის საბჭოების დასაჯილდოვებლად

საუკეთესო სოფლის საბჭოების დასაჯილდოვებლად საქართველოს სახკომსაბჭომ თავი სახსრებიდან გამოჰყო 20.000 მანეთი. (ადს).

ბამბის ქარხანა წნორის წყალზე

საქართველოს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის მებამბეობის ტრესტს —ის ბამბის ქარხანა, რომლის აგება განზრახულია კახეთში 1932 წელს, ააშენოს წნორის წყალზე (ადს).

ახალი დანიშვნა

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ა. მ. გიკი დაინიშნა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად (ადს).

სავალდებულოთ შრომის დაცვა სამთამადნო მრეწველობაში

იმ მიზნით, რომ გაძლიერებული იქნას შრომის დაცვა სათამადნო მრეწველობაში, საქართველოს სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს ჯანსახკომს არა უგვიანეს 1932 წლის პირველი კვარტალისა მოაწყოს ამ მრეწველობაში ჩაბმულ მუშებისათვის პირველი დახმარების დამატებითი საექიმო პუნქტები (ადს).

ა.-კ. ხილბოსტან-კავშირში მომხდარ ბოროტმოქმედებათა მონაწილენი გარიცხული არიან პარტიიდან

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის რაისაკონტროლო კომისიამ დაადგინა — გარიცხოს პარტიის რიგებიდან ა.-კ. ხილბოსტანკავშირის № 7 მაღაზიის ყოფილი კონტროლიორი ნ. ს. [illegible]ამბაროვი და ამავე მაღაზიის ყოფ. გამგე ამიროვი, იმისათვის რომ ისინი დაუდევრობას იჩენდენ სამსახურისადმი, ჩადიოდენ სიყალბეს, ლოთობდენ და ჰყიდდენ საქონელს დაწესებულ ფასებს ზევით.

ამიროვი და ლამბაროვი მიცემული არიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით. (ადს).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

5 იანვარს, დღის 1-ლ საათზე, საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტში (ოთახი № 5) ამხ. აკოპოვთან შესდგება თათბირი ამხ. სტალინის წერილის—„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ" დამუშავების მიმდინარეობაზე.

თათბირზე დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ყველა რაიკომების კულტპროპგანყოფილებათა გამგეები, ამხ. შარია— მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, ალამალიანი—საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი, ორაგველიძე—ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი, ვაშაყმაძე—პედ. ინსტიტუტი, დოლიძე—საფ. კოოპ. ისტიტუტი. სტეპანიანი— ა.-კ. კომ. უნივერსიტეტი, რ. მელაძე—ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი და ყველა მომხსენებლები, რომლებიც ამ საკითხის გარშემო გამოყოფილი არიან თბილის კომიტეტის მიერ.

კვიციანაძე რაჟდენ, ხაიცევ ნიკოლოზ ვასილის-ძე, ლომსაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე, მამედ ალი დუნია მალი ოღლის წინადადება ეძლევათ. გამოცხადდენ საქ. კ.პ. (ბ) ც. ს.კ. ოთახი № 6.

—:—

დღეს საღამოს 7 საათზე ევანგულოვის ქ. 12 მოწვეულია სამედიცინო ინსტიტუტის კომუჯრედის გაერთიანებული კრება პედაგოგიურ პერსონალთან და უპარტიო სტუდენტობასთან ერთად.

—:—

ირადიონ ბელკანია და შალვა სიმონის-ძე დოხნაძე უნდა გამოცხადდენ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, ოთახი № 6.

სახ. ოპერა

5 იანვ. 13 აბ. 7 წ. **თამარ ცბიერი**

6 იანვ. 12 აბ. 6 წ. ნ. ქ. პეჩკოვსკის პირველი გამოსვლა **პიკის ქალი**

7 იანვ. აბონ. გარეშე პრემიერა **ტარას ბულბა**

წარმოდგენა იწყება საღ. სრულ 8 საათზე მეექვსე მორიგი საბონემენტო შესატანი მიიღება ყოველდღე 11-დან 2 საათამდე და 6-დან 8 საათამდე, ვისაც მეხუთე შესატანი არ გადაუხდია წარმოდგენაზე არ იქნება დაშვებული. 56

რუს. თეატრი ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით.

6 იანვ. 9 აბ. 5 წ. **სამნი**

7 იანვ. 10 აბ. 5 წ. **სამნი**

8 იანვ. 7 აბ. 5 წ. **თეთნულდ**

დასაწყისი საღ. 8 საათზე, ყველა წარმოდგენებზე ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია გასაყიდათ. ვისაც მეოთხე გადასახადი არ შეუტანია, წარმოდგენაზე დაშვებული არ იქნება. 2—1 ნ. 53

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში
5 იანვარს **შემოქმედებითი დისკუსია**
სანდრო ახმეტელი გააკეთებს მოხსენებას
„თეთნულდი" რუსთაველის თეატრში
ბილეთები იყიდება მთელი შემოსავალი გადაეცემა თეატრის საშეფო ფონდს. 3—3 ნ. 39

სახ. ცირკი დასაწყ. 8 15 წ.

დღეს, და ყოველდღე ახალი პროგ.
ფრანგული ჭიდაობა დათვსა და კრვკერს შორის
აკრობატ. ბურთებზე კორჟევსკები | გიმნასტები რგოლებ. 3 დელვაოსი
ეკვილიბრისტრები 2 რუჩნიკი | აკრობატები 2 კაზანსკი
6 იანვარს დღის წარმოდგენა. 7—5 ნ. 52

სახ. დრამა სსსრ. სახ. არტ. მარჯანიშვ. ხელმძ.

6 იანვ. აბონ. გარ. **პური**

7 იანვ. 2 აბ. 5 წ. **მოხუცი ენტუზიასტი**

9 იანვ. 3 აბ. 5 წ. **პური**

საჭიროა აბონემენტების მე-5 გადასახადის შეტანა. ნ. 54

სახკინმრეწვის თეატრები:

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (ყ. აპოლო) სეან. 12,2,4,6-30,8-30,10-30. — **ახალი ცხოვრებისაკენ** სალარო ღია დღის 11 ს.-დან. ბავშვები 14 წლ. არ იქნებიან დაშვებულნი.

საღამოს კინო **სპარაკი** სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30. — **განა შეიძლება გავჩერდეთ** ქ. ვეიდტის მონაწ.

დღის კინო **სპარაკი** სეან. დას. 12, 1-30, 3 ს. — კომედია **ორი მეგობარი მოდელი და დოგილი**

რ. ლიუქსემბურ. სახ. (ყოფ. მინიონი) სეან. დას. 6-30, 8, 9-30, 11. — მხატვრ. ფილმი **იერიში** პროგრ. გარეშე უბადრუკი ორატორი.

კინ. **დამკვრელი** (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30. — მხატვრული ფილმი **ინჟინერ სტრონგის პროექტი**

კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30. — ახალი ფილმი **ცენტრალური აზიის უდაბნოში**

Своевременно подписавш.—будет обеспеч. высылка журн., начиная с № 1—1932 г.

Пора подписаться на 1932 г.

НА ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ
ВАРНИТСО — Всесоюзной Ассоциации Работник. науки и техники—активных участников социалистическ. строительства СССР.
И СНР —Секции Научных Работников.

ИНЖЕНЕРЫ, техники, научные работники и все работающие на фронте культурн. революц.

ПАРТИЙНЫЕ, профессиональные и общественные организации, библиотеки, фабрики, заводы, колхозы, совхозы, институты и все органы культ. строительства страны

ФРОНТ НАУКИ И ТЕХНИКИ

БОЕВОЙ ОРГАН ПЕРЕДОВОЙ СОВЕТСКОЙ ИНТЕЛЛИГЕНЦИИ
Ответственные редактора—академики А. Н. БАХ, Н. Я. МАР.

ЗАДАЧИ ЖУРНАЛА
Объединение революционной интеллигенции для содействия партии и рабочему классу в деле социалистического строительства. Политическое воспитание советской интеллигенции на основе диалектическ. материализма и марксистско-ленинской теории и практики. Борьба за социалистическую реконструкцию науки и техники. Борьба за новые кадры. Освещение работы аспирантуры. Освещение положения научно-технической интеллигенции на производстве и в быту. Освещение идеологической борьбы в капиталистических странах и классового расслоения среди зарубежной интеллигенции и т. д.

ПОДПИСНАЯ ЦЕНА на 1932 год, для учрежд. и организ. всех видов на год—15 р., на ½ года—8 р. для отдел. лиц (индивид.) на год—[illegible] р. на ½ г.—4 р.

Подписку направлять: Москва, у. Тверская 37/3, Редак. ВАРНИТСО Подписка принимается также всеми отделениями, книжными магазинами и уполномочен. Книгоцентра ОГИЗ'а, всеми почтовыми предприятиями и письмоносцами, всеми коллективами ВАРНИТСО и СНР при предприятиях в учреждениях и всеми уполномоченными газеты „Гудок" на транспорте. 1765

Своевременная подписка гарантирует аккуратную доставку журнала подписчикам.

„სოიუზორგუჩეტ"-ის
ყოფილი „ორგსტრო"
ამიერ-კავკასიის სამხარეო კანტორა
(თბილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფ. 6—42).

აუწყებს ყველა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომ 1932 წლის 1 იანვრიდან „სოიუზორგუჩეტ"-ის მთელ სისტემაში შემოღებულია ბლანკების, კოპირალრიცხვის ხელსაწყოებისა და მისი ნომენკლატურის დანარჩენი საგნების **გეგმიანი განაწილება.**

სახელმწიფო დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან აღნიშნული საგნების მიღებით, თავიანთი დაკვეთები უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 1932 წლის 13 იანვრისა:

1. ამიერ-კავკასიის დაწესებულებები და ორგანიზაციები თავისთვის და თავისი პერიფერიებისათვის, რესპუბლიკებსა და ოლქებზე განაწილებით, ასეთ დაკვეთებს უგზავნიან „სოიუზორგუჩეტ"-ის ა-კ. სამხარეო კანტორის საბლანკო სექტორს ზემოაღნიშნული მისამართით:

2. რესპუბლიკანური, საოლქო და სარაიონო მნიშვნელობის დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც შეტანილი არ ყოფილან თავიანთ გაერთიანებათა დაკვეთებში, ასეთებს უგზავნიან „სოიუზორგუჩეტ"-ის სათანადო რესპუბლიკანურ განყოფილებებსა და ამიერ-კავკასიის კანტორის წარმომადგენლობებს.

აღნიშნული ვადისათვის გამოუგზავნელი დაკვეთები განხილული არ იქნება განაწილების გეგმის შედგენის დროს.

დაკვეთის ფორმა და ნომენკლატურა მიღებულ უნდა იქნას „სოიუზორგუჩეტ"-ის სათანადო განყოფილებებში. ნ. 47

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

კავშირის წიგნ.: არფენიკ ოსკანოვასი № 4, პავლე სტურუასი № 221, სილიბისტრო ხურცილავასი № 10676, პაატა გუგუშვილის. **მეტრიკული ამონაწერ** ნოდარი ბაბლიძის. **მუშკოოპის წიგნ.:** ნინა ფირანაშვილის № 230624, აშხენ მატოიანის, იოსებ გოგიძის № 34864. **პირადობის მოწმობა** კონსტანტინე მელითაურის. **სამხედრო წიგნაკი** გრიგოლ კობახიძის. **სხვა და სხვა:** 7 წლედის ატესტატი, სიღარიბის მოწმობა, სოციალური მდგომარეობის მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი მარგალიტა მალლაკელიძის. 7 წლედის ატესტატი, სიღარიბის მოწმობა, მეტრიკა, სოციალური მდგომარეობის მოწმობა და კოლმეურნ. მოწმობები ნინა გოთოშიასი. № 51.

სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის სამხარეო კანტორის საანგარიშო-ეკონომიური ტეხნიკუმი
გაიხსნა ამა წლის 3 იანვარს.

მეცადინეობა იწარმოებს საღამოს 5 საათიდან მახარაძის ქუჩაზე, სახლი № 13.

წინადადება ეძლევათ მსმენელებს დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სასწავლებელში.

ვინც არ შეუდგება მეცადინეობას 3 დღის განმავლობაში არა საპატიო მიზეზით, იგი მექანიკურად იქნება გამორიცხული ტეხნიკუმიდან.

სახელმწიფო ბანკის კადრების განყოფილება. ნ. 5[illegible]

ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურად სიფილ. და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობ., სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპ. მიღ. დილ. 10½—12 ს., საღ. 6—8 ს. საათამდე ა/კ. ფედერაციის ქ. (ყ. ველიამინოვის) № 22.

ს. ი. ანდრეევა
დაბრუნდა
შინაგანი სნეულებ., სპეციალურად [illegible] და საბ[illegible]ბის სნეულება. ავადმყოფების მიღება 6—7 საათ. [illegible]ლბაქიძის დაღმ. 29. (ყ. ვერის ხიდთან) [illegible] 9018

თბილისის კოოპერატ. ტეხნიკუმის
დაუსწრებელ სექტორთან
იხსნება მასიური კვალიფიკაციის მუშაკების მოსამზადებელი
8 თვიანი კურსები
რომელიც მუშათა დახურულ, ქალაქისა და სოფლის კოოპერაციებს მოუმზადებს მაღაზიის გამგეებს. კურსებზე მიიღებიან უმთავრესად კოოპერატივების აპარატში მომუშავე ჯავშანი ახალგაზრდობა, გამყიდველები და მათი თანაშემწენი, აგრეთვე მსურველები მუშათა და კოლმეურნეთა რიგებიდან, რომელთაც აქვთ განათლება არა ნაკლები 4 ჯგუფისა. მიღება სწარმოებს როგორც კოოპერატიული ორგანიზაციების მივლინებით, ისე თავისუფალ მსურველთა. მიღება იწარმოებს 20 იანვრამდე. კურსებზე ჩარიცხვისათვის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ—თბილისი, კამოს ქ. № 52, კოოპერატიულ ტეხნიკუმს.
ცეკავშ. კადრების სექტ. გამგე გ. ბოკერია კოოპ. ტეხნიკ. დირექტ. ნადარეიშვილი. ნ. 55

გამოცდილი ბუღალტ. სულ მოკლეხანში ამზადებს **მოანგარიშის და მოლარის თანამდ.**
უსწორებს ხელს წერაში
ასწავლის ქართულ და რუსულ ლამაზ და ჩქარ წერას, აბას-აბადის მოედანი, ახოსპირელის 1-ლი ჩიხი № 6, ლერმონტოვ. ქ. ახლოს. 88

ა. დ. კეკელია
სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის ამხიორი № 11ს. სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ. ტელ. 12—67. 8004 256—

მოკლე ხანში ვასწავლი **მათემატიკას** და **ვამზადებ მოწაფ.** უმაღლეს, სასწავლებლისათვის, 7 წლედის და სიმწიფის მოწმობაზე მუშფაკისათვის, მუშათა უნივერსტ., საბუღალტ. კურსებზე შესასვლელად და **მოანგარ. თანამდ.** ვასწორებ აგრეთვე სუსტ მოწაფეებსაც. პლეხანოვის გამზ. № 25, (შესავალი ჩერნიშევის 5. ალექსის კუთხიდან). 3—7 ს. 3-2 10123

ექიმი ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთ **„სილამაზის ინსტიტუტი"**
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტ. ორთქლ ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის და სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყ საპიორის) 14 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღ. [illegible]-დე. შესასვლ ძნელაძის შესახვევიდან 25—18

ი. ი. მერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ. 9—1 ს. საღ. 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვ. № 8 25—18

ი. ი. ქემშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილი 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდიმთავრის ქუჩა) ინდუსტრ. ტეხნიკუმის გვერდზე. 5 5

ნ. კონტოროვიჩი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა კირიენსკის ქ. № 9. (ყ. პეტრე დიდის ქ.) თმის ცვენის მკურნალობა, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაიჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატები და საშუალებების გამოყენება დილ 12-3 ს და 6—8 ს. 8179 5—2

დამწუხრებული ბიძა-ბიცოლა, დათიკო და ნატალია ლეჟავები შვილებით: ვერა, პეტრე, ვლადიმერი, ევტიხი ცოლშვილით ვგლოვობთ დაუვიწყარ
ნინა გიორგის ას. ლეჟავას
დაკარგვას. 109

დამწუხრებული ბიძები: რაჟდენი, შურა, შალიკო, ბიცოლა აგრაფინა და დინა შვილებით: მარგალიტა, თინა, ბუდუ, კლარა გლოვობენ ძვირფას
ნინა გიორგის ას. ლეჟავას
გარდაცვალებას. 108

ღრმად დამწუხრებული მშობლები: გიორგი და რებეკა, და ანიჩკა, ძმები: იოკიმე, არქიფო და ვანო აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ნინო გიორგის-ას. ლეჟავა
დაკრძალვა დიდ ჯიხაისში, 5 იანვარს. 108

ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების სამმართველო მწუხარებით იუწყება მაღაროების ძველი მუშის
მიხეილ ცირეკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 იანვარს, სოფ. საწირეში. ნ. 58

ღრმად დამწუხრებულნი ამხანაგ რაჟდენ ცირეკიძის უახლოესი ამხანაგები: ი. ფოფხაძე, პ. საყვარელიძე, ი. მინდელი, შ. ცირეკიძე, ა. გოგილიძე, შ. ხუჭუა, მ. გამრეკლიძე იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
მიხეილ ცირეკიძე
დაკრძალვა დღეს, ს. საწირეში. ნ. 58

კარპე და პლატონ სპირიდონის-ძე მოდებაძეები ცოლშვილით განუსაზღვრელ მწუხარებას გამოსთქვამენ მათი საყვარელი ბიძაშვილის კოწია ბესარიონის-ძის მოდებაძის ერთად ერთი შვილის
ნინოს
გარდაცვალების გამო. გამოსვენება 6 იანვარს 3 საათზე, პასტერის ქ. № 4. ნ. 60

ტყიბულის მუშათა კავშირი ამით იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 2 იანვარს გარდაიცვალა ძველი პროფმუშაკი, ამხანაგ რაჟდენ ცირეკიძის მამა, კავშირის ძველი წევრი
მიხეილი
დაკრძალვა 5 იანვარს, საწირეში 4 საათ. ნ.58

ვალოდია და ბაბულია ხარაიძეები აუწყებენ ნაცნობთ მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ბიძაშვილი
ნინო კონსტანტინეს-ას. მოდებაძე
90

უახლოესი მეგობრები: მ. ჩინჩალაძე, ე. ყუფარაძე, მ. გუნცაძე, ო. და ქ. მაცაბერიძეები, მ. ნიორაძე, ვ. საყვარელიძე, ც. არაბიძე, ა. ბებიაშვილი, თ. ჯუღელი, ე. ო. და ქ. გაჩეჩილაძეები და ნინა ოსიპოვა ვგლოვობთ დაუვიწყარ მეგობრის
ნინა მოდებაძის
დაკარგვას. 103

სოფიო, თამარა, ტიმოთე, კოწია, გალაქტიონი და ალექსანდრე ვაშაძეები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი
ნინა მოდებაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 იანვ. დღის 3 საათზე, გამოსვენება პასტერის ქუჩიდან ვერის ახალ სასაფლაოზე. 114

დამწუხრებულნი მეუღლე ფაილაძე, ძმა გვიმრაძე და დეიდაშვილი მასიურაძე იუწყებიან მათთვის საყვარელ
სონია გვიმრაძე-ფაილაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 იანვ. საღამოს 4 საათზე. 121

პროფ. კონსტანტინე ბესარიონის-ძე და ევგენია მოდებაძეები და კონსტანტინე ეპიფანეს-ძე შენგელია შვილით იუწყებიან საყვარელი
ნინო მოდებაძე-შენგელიას
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 6 საათზე, პასტერის ქუჩა № 4. დაკრძალვა 6 იანვარს, 3 ს., ვერის ახალ სასაფლაოზე. 1-1 91

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ხარიტონ, დათიკო, ვალერიანე, მიშა, გრიგოლ, პავლე, დები: ოლია, ლიზიკო ჩიტაიშვილები იუწყებიან საყვარელი ძმის
აკაკი გლახუნის-ძე ჩიტაიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ბახვში.

დამწუხრებულნი შვილები: ბენია, ნინა ბარამიძეები, სიძე სამსონ, შვილები: სონია, შვილიშვილები: ქეთო, ჟუჟუნა ჯოჯუები იუწყებიან მათთვის საყვარელ
ქაიხოსრო ბარამიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 იანვარს ლანჩხუთში, მერიის სასაფლაოზე. ნ. 61

სამუდამოთ გულმოკლული მშობლები: ნესტორ და სონა მექვაბიშვილები მადლობას უცხადებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი პატარა
ჟ ა ნ ი ს
დაკრძალვაში 111

შვილი გიორგი, რძალი ნინო, შვილიშვილი ჯემალი და გიგა ენაგელი ოჯახით მწუხარებით იუწყებიან საყვარელ და დაუვიწყარ
მენიკო ჩენილ.-ას. მენაღარიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 5 იანვარს 4 ს. ჩხიკვაძის ქ. № 3 (ყოფ. აფანასევის), დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 115

გულმოკლულნი: ანეტა, ტარასი ხუხუნაშვილები შვილებით და თეკლე, ლავრენტი და ამბროსი ნიკოლაიშვილები იუწყებიან, რომ 5 იანვარს, ბათომში, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მუდამ დაუვიწყარ
ლუდმილა ჟოჟიკაიშვილი-ზოიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 104

ანასტა და ანესტი პეტრიდისი შვილებით: სოკრატი, ნუცა, ბუჯა, ბოჩია; რძალი ზინა და სიძე სოლო რევია მწუხარებით იუწყებიან
ქ ა ლ ა რ ე ვ ი ა ს
დაკარგვას. 89

დამწუხრებული მეუღლე თამარი, შვილები: დავითი, ჯანსუყი, შამირი, ვახტანგი, მედეია, რძალი ევგენა იუწყებიან ძვირფას
დიმიტრი ჯანსუყის-ძე ასათიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 6 იანვარს 4 საათზე, რკ. გზის საავადმყოფოდან. 123

დიდედა ლიზა, ბიძები: მიხეილ, პლატონი, პეტრე, ბიცოლები: ვერა, განია, იულია, ბიძაშვილები: ვანო, იურა, ნადია, ლიალია, მამიდა ნატალია ვოლფრამისა ქმარშვილით და რძლით იუწყებიან ახალგაზრდა
ჟორა ძაგნიძის
დაკარგვას. 97

ძმები სიკო (სვიმონ), ნიკოლოზ, ალექსანდრე ცოლშვილით და გრიგოლი, დეიდა დარია იუწყებიან, რომ ოთხშაბათს 6 იანვარს, ახალ ვერის სასაფლაოზედ, 5 საათზედ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი
ტასიკო ფირცხალაურის
ხსოვნის აღსანიშნავად. 94

სამუდამოთ გულდამწვარი მეუღლე გრიგოლ, შვილები: იულია და ვალიკო ულენტები იუწყებიან, რომ 6 იანვარს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
იერია ვადაჭკორია-ულენტის
ხსოვნის აღსანიშნავად. 93

მამიდა ლიზა აბაშიძე შვილებით: ნუცა, ანდრო, ირაკლი, ნატაშა, ნადია, სალომეა და ვალოდია ჩიგოგიძეები, ლენა და საშა რუსიები იუწყებიან ძვირფას ძმისშვილის და ბიძაშვილის
ნინო მოდებაძე-შენგელიას
უდროოდ გარდაცვალებას. 90

დამწუხრებული მშობლები: ნესტორი და ნინა მარგალიტაძეები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი
ვალოდია ნესტ.-ძე მარგალიტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს 5 იანვ. 4 ს. გამოსვენება გოგოლის ქ. № 45. 124

ღრმად დამწუხრებული რძალი კესარია ქუთონია შვილებით: პროკოფი, მიშა და შურა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი
მენიკი მენაღარიშვილი-ქუთონიასი

დამწუხრებული შვილები: ალექსანდრე, ევგენია, მარუსია და რძალი მერი დარჩიაშვილები იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ძვირფასი
გაბრიელ ილიას-ძე დარჩიაშვილი
გამოსვენება კამოს საავადმყოფოდან 5 იანვ. 4 ს. ვერის ახალ სასაფლაოზედ. 112

ელენა და აკაკი ჯიბლაძე შვილი როსტომით იუწყებიან. რომ 6 იანვარს, 5 საათზე ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი
თ ი ნ ი კ ო ს
ხსოვნის აღსანიშნავად. 110

დამწუხრებული მეუღლე დავით, შვილები: ჯამულეთი ცოლით მართა, მართა ჩიტაიშვილისა, ტერეზი, ილარიონ, კესა, ვიკტორ შვილებით, მენაბდეები, ილატიონა გიორგაძისა იუწყებიან დაუვიწყარ
ეფვიტი სურგულაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 იანვარს, ს. დვაბზუში. 106

დამწუხრებულნი მშობლები: ვარდიკო, ყარამანი, დები: გოგუცა, მარუსია, ქმრები: კოწია, შალიკო, გრიშა ვარლამი იუწყებიან, რომ 6 იანვარს, ქუთაისში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
აკაკი ყარამანის-ძე რუხაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 105

დამწუხრებულნი მეუღლე ანასტასი, შვილები: ოლია, ნინა, მაშურა, დათიკო და ლადო კიკვაძეები იუწყებიან, რომ დაუვიწყარ
ლუკა დავითის-ძე კიკვაძის
ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ქუთაისში, 7 იანვარს, საფირჩხის სასაფლაოზე. 99

დამწუხრებული და ცაცია, სიძე სოლომონი შვილებით, პამა, ლუბა, ქსენია, ნესტორი, ვალოდია სულაბერიძეები აუწყებს საზოგადოებას დაუვიწყარ
იაკობ დავითის-ძე ჭოხონელიძის
უდროოდ დაკარგვას. 96

ტფილ. რაიკოოპკავშირის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. სიმონ გოგიტიშვილის ძმის
იაკინთე ბესარ.-ძე გოგიტიშვილის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა გურიაში, სოფ. ვაკისჯვარში, 5 იანვარს. 119

რკ. გზ. მეორე საექსპლოატაციო რაიონის კანტორის თანამშრომლები იუწყებიან კანტორის უფროსის დათიკო ასათიანის მამის
ტიტიკო ასათიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოდან 4 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 6 იანვარს. 120

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ნესტორი, დედა კესა, ბიძები: გიორგი და სერაფიონი ცოლშვილით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ პატარა
ელგუჯა ნესტორის-ძე რუხაძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 5 იანვარს, სოფ. ქვიტირში. 118

დამწუხრებული მშობლები მელქი და გაიანე, ძმები: ბუჩუ, გრიშა, ვალიკო, ცაკუ, რძლები: ჟენია, პაშა, მარო, ნინო რევიები იუწყებიან ძვირფასი დაუვიწყარი
ქალა (ვერა) რევიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხუნდში. 117

ტფილისის წითელი ჯვრის აფთიაქის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე აფთიაქის გამგის ლავრენტი პეტრეს-ძე ნორაკიძის ძმის
ბესარიონ პეტრეს-ძე ნორაკიძის
უდროოდ დაკარგვის გამო. 116

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა
მთავლიტის რწმუნებული ა 949